პროლეტარეებო ყველა-ძვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 46 (19488) ◆ კვირა, 23 თებერვალი, 1986 წ. ◆ ფასი 3 კაპ.



სკკპ XXVII ყრილობის გახსნის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ატყობინებს კომუნისტურ პარტიებს — XXVII ყრილობის დელეგატებს აუწყებს, რომ ყრილობა [illegible] 25 თებერვალს დილის 10 საათზე კრემლის ყრილობათა სასახლეში.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, საკავშირო პროფსაბჭოში და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

1986 წლის 15 თებერვალს მთელი რიგი საწარმოებისა და ორგანიზაციების მოწინავე კოლექტივების ინიციატივით ქვეყანაში გაიმართა სკკპ XXVII ყრილობის აღსანიშნავი საკავშირო კომუნისტური შაბათობა. მან ცხადყო, რომ ხალხი იწონებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად გამიზნულ პარტიის გეგმებს, რომ მშრომელები გამსჭვალულნი ჭრიან მხურვალე მისწრაფებით ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXVII ყრილობას.

შაბათობაში მონაწილეობა მიიღო 153 მილიონმა კაცმა, რომლებიც შრომობდნენ თავიანთ სამუშაო ადგილებზე — მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობაზე და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, აგრეთვე ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების თავიანთი კეთილმოსაწყობად. დიდნაყოფიერი შრომით შაბათობის მონაწილეებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საყრილობო ვალდებულებათა, მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების საქმეს.

მარტო სამრეწველო პროდუქცია ამ დღეს გამოშვებულია 1338 მილიონი მანეთისა. ბევრ შრომითს კოლექტივში პროდუქცია აწარმოვეს უფრო მეტი, ვიდრე ჩვეულებრივ დღეებში. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი დამზადებულია დაზოგილი ნედლეულით, მასალებით და სათბობით. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა გადიდებული მოთხოვნის ნაწარმის ზეგეგმით გამოშვებას.

შაბათობის მონაწილეებმა გამოიმუშავეს და მეთორმეტე ხუთწლედის ფონდში გადარიცხეს დაახლოებით 200 მილიონი მანეთი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი გულითად მადლობას უხდიან მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, ახალგაზრდობას პარტიის XXVII ყრილობის აღსანიშნავ საკავშირო კომუნისტურ შაბათობაში აქტიური მონაწილეობისათვის. შაბათობის დროს გამომუშავებული სახსრები, მშრომელთა სურვილის გათვალისწინებით, მოხმარდება სასოფლო, რაიონული და საქალაქო ჯანმრთელობის დაცვისა და ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობასა და აღჭურვას.

23 თებერვალი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა

სოციალიზმისა და მშვიდობის საიმედო გუშაგი

ოფიცრობა გმირული პროფესიაა

65 წლის ისტორია აქვს საბჭოთა არმიის ერთ-ერთ უძველეს სამხედრო სასწავლებელს — თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვან შეთაურთა უმაღლეს საარტილერიო სასწავლებელს.

1920 წელი იყო... შესანიშნავ წელი გრძელდებოდა სამოქალაქო ომი. წითელი არმია გმირულად იგერიებდა იმპერიალისტის პირველ თავდასხმას საბჭოეთზე, ინტერვენტთა და თეთრგვარდიელთა გაერთიანებულ ლაშქრისა. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ცდილობდნენ რა გაეზარდათ მუშურ-გლეხური არმიის საბრძოლო ძლიერება, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მეთაურთა კადრების მომზადების საქმეს. ვაუნენებთ რა ახალ არმიას, მეთაურები მხოლოდ ხალხიდან უნდა შევარჩიოთ. მხოლოდ წითელ ოფიცრებს გვნებავთ ჯარისკაცებში ავტორიტეტი და შეძლებენ განამტკიცონ ჩვენს არმიაში სოციალიზმი. ასეთი არმია დაუმარცხებელია, წერდა ვ. ი. ლენინი. სწორედ მაშინ შეიქმნა კურსანტთა აღმოსავლეთის ბრიგადა და მისი მე-6 პოლკი, რომელმაც საფუძველი ეყრება თბილისის სასწავლებლის ისტორიას.

სამოქალაქო ომის შემდეგ თბილისის საარტილერიო სასწავლებლის „აღზრდილები გმირულად ებრძოდნენ ბანდურ დიდი სამამულო ომის ფრონტებზე. 42 მათგანს, რომლებმაც სხვადასხვა დროს დაამთავრეს სასწავლებელი, საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა.

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სოციალისტური სამშობლოს დაცვას, ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებას და სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფას საბჭოთა საერთო-სახალხო სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უფუნქციად მიიჩნევს", — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში. თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი შეთაურთა უმაღლესი საარტილერიო სასწავლებელი სკკპ XXVII ყრილობას საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ახალი წარმატებებით ხვდება.

სურათებზე: წერილი სახლში (სერჟანტი ალექსანდრე პორტნოვი); ოფიცრობა გმირული პროფესიაა — მიაჩნათ თბილისის უმაღლესი საარტილერიო მეთაურთა სასწავლებლის კურსანტებს; დასვენების საათებში; ვლადიმერ კონიკი, იური კარაევი, ვლადიმერ ვოლკოვი და ალექსანდრე მიში უსმენენ სამღერას, რომელსაც ბაიანზე ასრულებს ალექსანდრე კრავჩენკო.

უ. აივაზოვის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ვ. ლ. გულევიჩი,

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ახლანდელ 68-ე წლისთავს საბჭოთა ადამიანები აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის წინ. ეს ისტორიული მოვლენა განსაზღვრავს შეიარაღებული ძალების ცხოვრების რიტმს — არმიისა და ფლოტის პირადი შემადგენლობის მაღალ მორალურ-პოლიტიკურ და საბრძოლო განწყობილებას. საბჭოთა მეომრებმა უდიდესი აღფრთოვანებით აღიქვეს პარტიის საყრილობო დოკუმენტები, რომლებიც განმსჭვალულია ჩვენი ხალხის ცხოვრების და სულიერი დონის გაუხრელი ამაღლებისათვის, სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების გაზრდისათვის ზრუნვით.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მეომრები მხურვალედ და ერთსულოვნად იწონებენ და უჭერენ მხარს ამ დოკუმენტებს, პარტიის პოლიტიკას და კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო, მტკიცედ სრულყოფენ საბრძოლო მზადყოფნას, განამტკიცებენ დისციპლინასა და ორგანიზებულობას. ისინი თავიანთი ხალხის საერთო ინტერესებით ცხოვრობენ, ამაყობენ ჩვენი სამშობლოს თვალსაჩინო წარმატებებით, რომელსაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწიეთ.

საბჭოთა ხალხი აღმშენებლობითს ამოცანებს წყვეტს რთულ საერთაშორისო ვითარებაში. იმპერიალიზმის რეაქციულმა წრეებმა, რომლებიც მსოფლიოს ომით ემუქრებიან, გააჩაღეს არნახული გამალებული შეიარაღება, ემზადებიან კოსმოსში მისი გადატანისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ნამდვილად ტიტანურ ბრძოლას ეწევიან ბირთვული საფრთხის წინააღმდეგ, გამალებული შეიარაღების ალაგმვისათვის, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ როგორც სსრ კავშირის, ისე ჩვენი მეგობრებისა და მოკავშირეების უშიშროება. სოციალიზმის მონაპოვართა დაცვის საქმეში განსაკუთრებული როლი განეკუთვნებათ ჩვენს შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც უკვე 68 წელია ღირსეულად ასრულებენ თავიანთ ისტორიულ მისიას, ამაყად და ვაჟკაცურად ატარებენ გამარჯვების დიდებით მოსილ საბრძოლო დროშებს.

საბჭოთა არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი შეიქმნა 1918 წლის მრისხანე თებერვლის დღეებში, როცა კონტრრევოლუცია აჩაღებდა სამოქალაქო ომს, იწყებოდა უცხოეთის ინტერვენცია. წითელმა არმიამ სამოქალაქო ომის დროს მოიგერია იმპერიალისტური სახელმწიფოების გაერთიანებული ძალების შემოსევა, გაანადგურა თეთრგვარდიელთა არმიები და საშინაო კონტრრევოლუციის მრავალრიცხოვანი ბანდები.

აღვნიშნავთ რა დღეს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დაბადების დღეს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ლეგენდარული მეთერთმეტე არმიის — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ფუძემდებლის სახელოვანი საბრძოლო საქმეები. მან პირნათლად მოიხადა თავისი რევოლუციური და ინტერნაციონალური ვალი, დიდი დახმარება გაუწია აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მშრომელებს კონტრრევოლუციური ძალების განადგურებასა და ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში. ამისათვის კავკასიის არმია (ყოფილი მეთერთმეტე) დაჯილდოდა წითელი დროშის ორდენით.

ჩვენი არმიის გამარჯვებანი უწინარეს ყოვლისა სოციალისტური რევოლუციის დიადი იდეების გამარჯვებაა. ამ გამარჯვებათა გადამწყვეტი პირობაა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა. შეიარაღებული ძალებისა და სახელმწიფოს თავდაცვითი პოლიტიკის პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ დებულების ურყევობა დაადასტურა მთელმა ჩვენმა ისტორიამ.

პარტიის ტიტანურმა ორგანიზატორულმა მუშაობამ, მისი რიგების ერთიანობამ და შეკავშირებამ, კომუნისტთა უმტკიცესმა დისციპლინამ, რევოლუციის დაცვისათვის მათმა თავდადებამ პარტიას უდიდესი ავტორიტეტი მოუპოვა მასებში.

შემდეგ საბჭოთა ხალხმა გამოიყენა მშვიდობიანი პერიოდი

(დასასრული მე-2 გვ.)

პატივს მიაგებენ მეომრებს

საქართველოს დედაქალაქმა სამშობლოს დამცველთა დღესასწაული აღნიშნა. საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 68 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე საოლქო ოფიცერთა სახლში 21 თებერვალს შეიკრიბნენ თბილისის პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანოების და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბისა და სამმართველოს გენერლები და ოფიცრები, თბილისის გარნიზონის მეომრები.

კრება გახსნა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა პ. პ. ჩხეიძემ.

კრებაზე მოხსენება გააკეთა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველმა მოადგილემ გენერალ-ლეიტენანტმა ვ. ნ. გრიაზნოვმა.

კრებას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ა. ანჩაბაძე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი კ. ა. კოჩეტოვი, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მხედართმთავრები.

(საქინფორმი).

მოვჭირნეულ ვხარჯოთ

სათბობ-ენერგეტიკული

რესურსები

ეფექტიანობის უმნიშვნელოვანესი პირობა

ელექტროენერგიის ხარჯვისადმი უყაირათო დამოკიდებულება, სათბობით, ელექტრო და თბოენერგიით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხთა ოპერატიული გადაწყვეტის რესპუბლიკური კომისიის მორიგი სხდომის მკაცრი მსჯელობის საგანი გახდა. პირობებში, როცა წარმოების რეზერვების მაქსიმალური ძიება ეკონომიკის წარმატებული განვითარების საწინდარი ხდება, ელექტროენერგიის გადამეტხარჯვა მიჩნეულია სახელმწიფო დისციპლინის სერიოზულ დარღვევად, ხაზგასმით აღინიშნა სხდომაზე.

ყოველად დაუშვებელია, როცა ენერგიას ზედმეტად ხარჯავენ მსხვილი სამრეწველო საწარმოები, რომელთა შორის არის გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანება. როგორც „საქმთავარენერგოს" ენერგოზედამხედველობის შემოწმებამ ცხადყო, მარტო თებერვლის პირველ ნახევარში აქ გადახარჯეს 50 ათას კილოვატსაათზე მეტი ენერგია. მაგრამ ენერგოზედამხედველობის შენიშვნები გაერთიანების ხელმძღვანელობას ყურად არ უღია. ელექტროენერგიის გადამეტხარჯვისათვის გაერთიანება 35 ათასი მანეთით დაჯარიმდა.

ამგვარი უყაირათობა მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს. გაკვირვებას იწვევს, აღნიშნეს სხდომის მონაწილეებმა, რომ ეს ფაქტი დღემდე არ განუხილავთ სამინისტროს კოლეგიაზე.

უკეთ როდია საქმე ავჭალის სილიკატურ-საკედლე მასალების ქარხანაში. თებერვალში „საქმთავარენერგოს" ენერგოზედამხედველობამ ხ ე დ ვ ე ლ ობის, საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის, სახნავთობნსპექციისა და სსრ კავშირის სახგაზზედამხედველობის საქართველოს ტერიტორიული ინსპექციის მიერ მოწყობილი კომპლექსური შემოწმების შედეგად აქ მთელი რიგი დარღვევები აღმოჩნდა.

კომისიის სხდომაზე განიხილეს აგრეთვე სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მიმდინარე წლის ფონდების ფორმირების საკითხი. რესპუბლიკის სამინისტროებისათვის, უწყებებისა და მოსახლეობისათვის ცენტრალიზებული ფონდის საერთო მოცულობიდან გამოყოფილია 3.197,4 ათასი ტონა პირობითი სათბობი, რაც შარშანდელზე 6,7 პროცენტით მეტია.

სხდომის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დუთმეს სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებათა უზრუნველყოფას მინდვრებისა და პლანტაციების მშრომელებს გაცხარებული საგაზაფხულო და საზაფხულო სამუშაოების დროს სათბობის სტაბილური მარაგი უნდა ჰქონდეთ.

კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ი. ვადაშკორიამ.

(საქინფორმი).



ცხინვალელ მეტრიკოტაჟეთა ყრილობისწინა ვახტი

დიდი ენთუზიაზმით მუშაობს ყრილობისწინა დამკვრელურ ვახტზე ცხინვალის სსრ კავშირის 60 წლისთავის სახელობის ტრიკოტაჟის ფაბრიკის კოლექტივი.

მეტრიკოტაჟეები გაზრდილი მოთხოვნის პროდუქციას უშვებენ და მნიშვნელოვნად უსწრებენ თავიანთ სამუშაო გრაფიკს.

• • •

სურათზე: მოწინავე მქსოველი ვალენტინა გელდიევა.

ლ. გუსოვის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საბჭოთა ოსეთი სკკპ XXVII ყრილობის წინ

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა ხორცშესასხმელად თავდადებით შრომობდნენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელები, მშენებლები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები.

მრეწველობის მუშაკთა სასახელო გარჯის შედეგად მეათე ხუთწლედში სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპმა თუ 29,3 პროცენტი შეადგინა, მეთერთმეტე ხუთწლედში ეს მაჩვენებელი გაორმაგდა, წარმოების მოცულობის აბსოლუტური მატება მეათე ხუთწლედში 11 მილიონი მანეთი იყო, მეთერთმეტე ხუთწლედში კი 3,5-ჯერ გაიზარდა.

თვალსა და გულს ახარებს აყვავებული მთიანეთი, მისი დედაქალაქი თუ რაიონული ცენტრები, დაბები და სოფლები, რომლებიც ასე დამშვენდნენ ბოლო ხუთწლედში.

ყრილობიდან ყრილობამდე ცხინვალი დაამშვენეს პარტიის საოლქო კომიტეტის შენობამ, ფარადი მუსიკალური შადრევნების კომპლექსმა, ახალმა საცხოვრებელმა მასივებმა, სტადიონმა, საკონცერტო დარბაზმა, ახალგაზრდულმა კაფემ, ქორწინების სახლმა, პროფსაწყვლებლებმა, სკოლებმა, ბაგა-ბაღებმა და სამედიცინო დაწესებულებებმა.

განვლილი პერიოდი ინდუსტრიული ძლიერების წლები იყო. ცხინვალში ამენდა დიდი ტრიკოტაჟის ფაბრიკა, ელექტრომოწყობილობის სარემონტო ქარხანა, ხელმეორედ დაიბადა ქალაქის უძველესი საწარმო — ხის დამამუშავებელი კომბინატი, დამატებითი სიმძლავრეები შეემატა ელექტროფიკაციული მანქანებისა და მომინანქრებული სადენების ქარხნებს.

მთებში გაიკრა ახალი გზები, კაპიტალური ხიდები აიგო ლიახვზე, ქსანზე, ლეხურაზე, ფრონესა და სხვა მდინარეებზე.

მალე მწყობრში ჩადგება პედაგოგიური ინსტიტუტის კომპლექსი, ხელოვნების სახლი, საერთაშორისო ახალგაზრდული ბანაკი „ჯავა" და 500-ადგილიანი სანატორიუმი კურორტ ჯავაში. ცხინვალის ცენტრში დაიწყო ახალი მუსიკალურ-დრამატული თეატრის მშენებლობა, რომლის დარბაზიც 850 მაყურებელს დაიტევს, და სხვა.

ამ ბოლო დროს ბევრი რამ კეთდება სოფლად სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. აშენდა და შენდება მთელი რიგი ობიექტები. ბოლო ხანს სავაჭრო ცენტრებმა დაამშვენეს ცხინვალის რაიონის სოფლები ერედვი, არცევი და თამარაშენი, ლენინგორისა და ჯავის რაიონული ცენტრები, ახლახან ზნაურის რაიონის სოფელ თერგვანშიც გაიხსნა ახალი მაღაზია. თითოეულ ობიექტში უხვადაა პირველი მოთხოვნილების საგნები, სასურსათო და სამრეწველო საქონელი.

შორს არ არის ის დრო, როცა მთის ანკარა წყაროს წყლით გაიხარებენ ცხინვალელები. სწრაფი ტემპით გაჰყავთ ცხინვალ-ჯავა-კვაისის გზსადენიც.

მრავალ სიკეთეს ჰპირდება ეს ხუთწლედი სამხრეთ ოსეთის მშრომელებს, მაგრამ ყველაზე დიდი სიხარული მაინც ტრანსკავკასიის საფეხლტეხილო საავტომობილო გზასთან არის დაკავშირებული — მშენებლები სკკპ XXVII ყრილობას საავტომობილო გვირაბისა და ავტომაგისტრალის მშენებლობის ძირითად საშუშაოთა დამთავრებას უპატაკებენ. მალე დასრულდება გვირაბის კეთილმოწყობა და მეგობრობის უნიკალური გზაც საექსპლოატაციოდ გადაეცემა.

წინსვლის წლები

რიურიკ თიდეევი

კომუნისტი ვარ

ვარ კომუნისტი!
ხალხის გულისხმქმის,
მისი წინსვლის და უკვდავების პარტიის წევრი.
სიხარულისთვის, სინათლისთვის,
სიყვარულისთვის
ბრძოლის გზა ვერვინ დაგვიბნელოს
ღრუბლების ტევრით.
კომუნისტი ვარ!
პარტიისაგან დასახულ გზებით
იმედიანად მივაბიჯებ მომავლისაკენ,
მისი დროშების ქვეშ ვმღერი და მეცხრეცას ვწვდები.
ვგრძნობ დღის სიდიდეს და მზის სისავსეს.
ვგრძნობ მისი გულით,
ვსუნთქავ მისი ძლიერი მკერდით,
ვჰვრეტ მისი თვალით,
მისი შუქის მდინარეს ვერთვი,
პარტიას ჩვენსას გაუმარჯოს! —
მამღერებს გულით,
მის დიად შუქში დადუმების არც მაქვს უფლება,
ჟღერს უმაღლეს პოეზიად სიტყვები ბრძოლისა,
რომლითაც, იგი ხალხს და მამულს ესაუბრება.
მან მოგვცა ეს დღე —
ჩვენ არ ვეძებთ სიმშვიდეს სულის,
ჩვენ გვაბარია მსოფლიოს ბედი!
ყველა ხალხს ჰქონდეს სიკეთე სრული,
სინათლე მეტი, სიმშვიდე მეტი.
— პროლეტარეებო, შეერთდით! — რეკავს
მძლავრი ძახილი პარტიის ჩვენის —
ეს არის, მისი მეზანი დიდი,
ეს არის მისი წადილი წრფელი!

თარგმანი ს. ჯანგულაშვილისა.

შრომით ამაღლებული

ოფიცი მამაცაშვილი ცნობილი, პობულარული ქალია სამხრეთ ოსეთში. იგი შრომით გახდა ამაღლებული და აღზევებული. ბავშვობიდანვე შრომაში გამოიწრთო. სწავლა და პიონეტყვის მოვლაში დედის მიშველება იყო მისი ყოველდღიური საზრუნავი...

სკოლაც დაამთავრა და აისრულა ბავშვობისდროინდელი წადილი — ვეტფერშალი გახდა.

საზრგადოებრივი მეურნეობის პიონეტყვის ზრუნვაში გავიდა წლები. ისე ააწყო საქმე, რომ ფერმაში აღიკვეთა პიონეტყვის გაწყდომა. ჯადოსნური ხელი აქვს — საკმარისია მისი ხელის შეხება და პიონეტყვი ფეხზე დგებაო, — ამბობდნენ მასზე.

— გამრჯე, მშრომელი ქალი მეცხოველეებმა ბრიგადირად მოითხოვეს. უარი არ უთქვამს სოფიოს. უწინარესად მეცხოველეობის პროდუქტების გადიდების რეზერვების ძიება დაიწყო. როცა გაზეთებში წაიკითხა იჯარული შრომის სიკეთეზე, გადაწყვიტა მთაც ასე ეშრომათ. ზნაურის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელთა ხელმეწყობით სოფიო მამაცაშვილის მეთაურობით მეცხოველეობის პირველ ბრიგადაში გაჩაღდა იჯარული შრომა. ეს არის მეცხოველეთა პირველი იჯარული შრომის ბრიგადა სამხრეთ ოსეთში. მუყაითმა შრომამ შედეგი იმ წელსვე გამოიღო.

შრომითი მაჩვენებლები ნათლად მეტყველებენ პატარა კოლექტივის წარმატებებზე. სკკპ XXVII ყრილობის დელეგატს სოფიო მამაცაშვილს აქვს სათქმელი. იგი იჯარული შრომის სიკეთეს თავისი ბრიგადის მაგალითით ნათელყოფს. ეტყვის დელეგატებს, რომ შარშან საგეგმო 1.520 და ვალდებულებით გათვალისწინებული 1.560 კილოგრამის ნაცვლად თითო ძროხაზე ჩამოწველეს 1.874 კილოგრამი მაღალხარისხოვანი რძე, 80 ძროხიდან მიღებული 81 ხბო გამოზარდეს, გეგმა კი 73 ხბოს შენარჩუნებას ითვალისწინებდა. ისიც აქვთ საამაყო, რომ მეთორმეტე ხუთწლედი კარგად დაიწყეს. თვე-ნახევარში ორი თვის წველადობის გეგმა შესრულეს. ბრიგადის ყოველი წევრი თვეში 220-250 მანეთს იღებს. გარდა ამისა, ნატურით ეძლევათ ზეგეგმით წარმოებული პროდუქციის ნახევარი.

სოფიო მამაცაშვილი კმაყოფილი წავიდა ყრილობაზე, ამოდენა დაფასება, თავი ზღაპარში მგონია, ამბობს ამაგდარი ქალი და იმედით გაჰყურებს მომავალს, რომლის ორიენტირიც იქ, კრემლიდან იწყება.

ბ. თეოდეევი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

დიდნაყოფიერი შრომის მეოხებით

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მშენებლებს, მემონტაჟეებს, ექსპლოატაციის მუშაკებს, დამპროექტებლებს, მშენებლობის ყველა მონაწილეს

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, რესპუბლიკის პროფსაბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გულითადად გილოცავენ შრომითს გამარჯვებას — 30,45 მილიონი კვადრატული მეტრი მზა ქსოვილის გამოსაშვებად თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ახალ სამძლავრეთა წარმატებით ამოქმედებას.

თქვენი დიდნაყოფიერი შრომის მეოხებით სამუშაოთა დაგეგმილი მოცულობა გრაფიკის გასწრებით შესრულდა. ამ თანამედროვე საწარმოს მშენებლობის დამთავრება სკკპ XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის მშენებელთა, მემონტაჟეთა, ექსპლოატაციის მუშაკთა და დამპროექტებელთა კოლექტივების ნაყოფიერი მუშაობის, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მიზანდასახული ორგანიზატორული საქმიანობის ჩინებული შედეგია.

მიღწეული შედეგები თვალსაჩინოდ მოწმობს არსებული რეზერვების უნარიან გამოყენებას, მშენებელთა, მემონტაჟეთა და ექსპლოატაციის მუშაკთა გაზრდილ ოსტატობას, რომლებიც დაეუფლნენ შრომისა და მშენებლობის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდებს.

თქვენი გამოცდილება კარგი მაგალითი იქნება სხვა კოლექტივებისათვის, რომლებიც ახალ სიმძლავრეებს ქმნიან სახალხო მოხმარების საქონლის ინდუსტრიის საწარმოებში.

გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ კვლავაც არ დაიშურებთ ძალ-ღონესა და ცოდნას ამისათვის, რომ რაც შეიძლება მალე და სრულად ითვისოთ ამოქმედებული საწარმოო სიმძლავრენი.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ახალ წარმატებებს ჩვენი დიადი სამშობლოს ნათელი მომავლის საკეთილდღეოდ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
საქართველოს პროფსაბჭო
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი

სოციალიზმისა და მშვიდობის საიმედო გუშაგი

(დასასრული)

და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეუდგა სახალხო მეურნეობის აღდგენას, პირველი ხუთწლედების გეგმების შესრულებას, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას, კულტურულ რევოლუციას. პარტია და მთავრობა ითვალისწინებდნენ, რომ სახიფათოდ ვითარდებოდა საერთაშორისო მდგომარეობა, მსოფლიო იმპერიალიზმი ნიადაგ ემუქრებოდა ახალგაზრდა სახელმწიფოს, იზრდებოდა ახალი ომის საშიშროება. და ისინი ამზადებდნენ ქვეყანას თავდაცვისათვის, დიდ ყურადღებას უთმობდნენ წითელი არმიის საბრძოლო მზადყოფნის გადიდებას, მის განვითარებასა და რეორგანიზაციას.

შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ზრდას აგრეთვე ხელს უწყობდა არმიისა და ფლოტის პოლიტორგანოებისა და პარტიული ორგანიზაციების ქსელის განმტკიცება. 1939 წლიდან 1941 წლის შუა თვეებამდე კომუნისტთა რიცხვი არმიისა და ფლოტში სამჯერ და მეტად გაიზარდა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და მაორგანიზებელი როლი კიდევ უფრო მეტი ძალით გამოვლინდა დიდი სამამულო ომის წლებში. თავისი მრავალმხრივი საქმიანობით პარტიამ უზრუნველყო პოლიტიკური სახელმწიფოს და სამხედრო ხელმძღვანელობის, არმიისა და ხალხის, ფრონტისა და ზურგის მტკიცე ერთიანობა. მისი მოწოდებით მთელი ქვეყანა ჩაება ფაშიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე გაჩაღდა არნახული ბრძოლა. საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების მშვიდობისაკენ მიმავალ გზაზე სახელოვანი, დაუვიწყარი ნიშანსვეტები იყო ბრძოლა მოსკოვის მისადგომებთან და ლენინგრადის დაცვა, ბრძოლები სტალინგრადთან, ჩრდილოეთ კავკასიაში და კურსკის რკალზე, უკრაინასა და ბელორუსიაში, ევროპის მრავალი ხალხის განთავისუფლება ჰიტლერული ტირანიისაგან, მტრის განადგურება მის ბუნაგში — ბერლინში.

დიდი სამამულო ომის უდიდეს ბრძოლებს შორის უნდა აღინიშნოს კავკასიისათვის ბრძოლა, რომელიც 15 თვეს გრძელდებოდა. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ამიერკავკასიის მშრომელები მკერდით იცავდნენ დიდი ოქტომბრის მონაპოვრებს. საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში შეიქმნა რეზერვები ფრონტისათვის, იქედებოდა იარაღი, აქედან უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა ფრონტისაკენ სურსათი და აღჭურვილობა. მგორობისა და მამაკობისათვის ამიერკავკასიის ფრონტის ათიათასობთ მეომარს მიენიჭა მთავრობის ჯილდოები, ხოლო 126 მამაცი მეომარი და მეთაური საბჭოთა კავშირის გმირი გახდა.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვებამ, რომლის სახელოვანი 40 წლისთავი შარშან ზეიმით აღინიშნა მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ, ცხადყო საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობიერების, კაპიტალიზმთან შედარებით მისი ეკონომიკის სრული უპირატესობა, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ცხოველმყოფელი ძალა, საბჭოთა არმიის გმირობა და უძლეველობა, იგი დღესაც მრისხანე გაფრთხილებაა სამხედრო ავანტიურების მოყვარულთათვის.

ომის გაკვეთილები მოგვიწოდებს ნიადაგ ფხიზლად ვიყოთ. ამიტომ ომისშემდგომ პერიოდში, განუხრელად ახორციელებენ ჩანლენინურ სამშვიდობო პოლიტიკას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა არ ივიწყებენ ომის რეალურად არსებულ საფრთხეს, რომელსაც ქმნის იმპერიალიზმი. ჩვენი ქვეყნის განვითარების ეკონომიკური დონე, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები საშუალებას გვაძლევს ნაწილებისა და ქვეგანაყოფების ტექნიკური აღჭურვილობა, მათი შეიარაღება მთლიანად აკმაყოფილებდეს თანამედროვე მოთხოვნებს. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ შეიარაღებული ბრძოლის ის საშუალებათა უპირველესი და უპირატესი განვითარება, რომლებზეც გარკვეულწილად არის დამოკიდებული ჩვენი შეიარაღებული ძალების ძლიერება, მათი უნარი გადაწყვიტონ ნებისმიერი აგრესორისაგან ქვეყნის დაცვის სტრატეგიული და ოპერატიულ-ტაქტიკური ამოცანები.

ჩვენი არმიისა და ფლოტის ძლიერება, ბრძოლისათვის მათი მზადყოფნა დღეს მრავალი ფაქტორით განისაზღვრება, რომელთა შორისაც ძირითადი მნიშვნელობა აქვს ტექნიკის და ადამიანის ფაქტორს.

ადამიანის ფაქტორი, მისი გაანტიურება საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სამხედროების, როგორც რიგითების, ისე უმაღლესი მეთაურების, შეგნებული საქმიანობა, მათ მიერ იდეების, მიზნების, პარტიის დებულებების ღრმად გაგება, სამშობლოს შთაგონებული სამსახური საბჭოეთის თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცების, არმიისა და ფლოტის საბრძოლო პოტენციალის ზრდის საწინდარია. როცა საბჭოთა შეიარაღებული ძალების დღეკვანდელ სახეზე ვლაპარაკობ, მინდა აღვნიშნო, რომ პირადი შემადგენლობის თითქმის 100 პროცენტს ახლა უმაღლესი, საშუალო და არასრული საშუალო განათლება აქვს. ოფიცერთა დაახლოებით ნახევარი ინჟინრები და ტექნიკოსები არიან, ხოლო საბჭოთა მეომრების დიდი უმრავლესობა — კომუნისტები და კომკავშირელები.

იდეური სიმტკიცე საბჭოთა მეომრის ინტელექტუალური, ზნეობრივი და ფიზიკური ძალების მთავარი წყაროა. იგი გამოიხატება უწინარეს ყოვლისა კომუნისტური იდეების ერთგულებით, სოციალური პროგრესის მტრების მიმართ შეურიგებლობით.

თავისი ხალხისა და პარტიის რევოლუციური, შრომითი და საბრძოლო ტრადიციების, თავიანთი კონსტიტუციური მოვალეობის ერთგული ამიერკავკასიელი მეომრები, ისევე როგორც სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მთელი პირადი შემადგენლობა, მტკიცედ სრულყოფენ საბრძოლო ოსტატობას, სწავლობენ სამხედრო საქმეს, როგორც უანდერძა ვ. ი. ლენინმა. ისინი ცდილობენ უფრო ღრმად აითვისონ ტექნიკა და იარაღი. გახდნენ მათი საბრძოლო გამოყენების ნამდვილი ოსტატები. კლასებში და მინდორში მეცადინეობის, წვრთნის, საწერთნელი ფრენის დროს მეომრები სწავლობენ იმას, რაც საჭიროა თანამედროვე ბრძოლაში.

ამ სწავლების შედეგები თვალნათლივ გამოვლინდა შარშან ივლისში გამართული წვრთნის „კავკასია-85“ დროს და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის წინ დამთავრებული ჩვენი ოლქის ჯარების წვრთნის პერიოდში. არახელსაყრელი ამინდის პირობების, სასწავლო-საბრძოლო ამოცანების სირთულის მიუხედავად, ყველა სპეციალობის, ყველა გვარეობის მეომრები მთელი უკუგებით მოქმედებდნენ და მაღალი შედეგებით აღნიშნეს კომუნისტური პარტიის მოახლოებული XXVII ყრილობა.

ოლქში გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება დევიზით: „შევასრულებთ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს, სამიდოდ დავიცავთ სოციალიზმის მონაპოვრებს!“ ამ შეჯიბრების ავანგარდში არიან საჯარისო კოლექტივები, რომელთა რიგებში მსახურობენ ზ. დარიჩი, ვ. მოლჩანოვი, ნ. ფილიპოვი, ლ. ბადინი და სხვები. მხედრულ შრომაში დიდი წარმატებებით ხედიან საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 68-ე წლისთავს ოფიცრები ს. სტოლაროვი, ა. მარღიშვილი, ე. დემეში, ნ. დექტიარევი, უფროსი პრაპორშჩიკი. ვ. მოზგოვოი, სერჟანტები რ. მალხასიანი, უ. აბაზოვი, რიგითები ვ. ქუკოვი, ა. ეფრემოვი და სხვები.

ჩვენი არმიის ძალაა ხალხთან ურღვევი ერთიანობა. წლითიწლობით მტკიცდება საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის შრომითის და შემოქმედებითს კოლექტივებთან ოლქის მეომართა მეგობრობა.

არმიისა და ფლოტის მეომრები ღირსეულად ხვდებიან საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 68-ე წლისთავს, სკკპ XXVII ყრილობას და მხედრული შრომით ყოველმხრივ განამტკიცებენ სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისუნარიანობას, საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერებას, მათს ავტორიტეტსა და პოზიციებს საერთაშორისო ასპარეზზე. ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა რთულ საერთაშორისო ვითარებაში უზრუნველყონ სამშობლოს, მისი მეგობრებისა და მოკავშირეების უშიშროება, ავლენენ დიდ სიფხიზლესა და საბრძოლო მზადყოფნას.

(საქინფორმი).

სწორი პრჩევანი

ახალი სასწავლო წლის პირველსავე საფრენოსნო ცვლამ დაადასტურა №-ის ვერტმფრინავთა ქვეგანაყოფის ავიატორების გადაწყვეტილება, რომ ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXVII ყრილობას. ეკიპაჟებმა წარმატებით გაართვეს თავი საბრძოლო გამოყენების საფრენოსნო დავალებებს, საინჟინრო-ტექნიკური შემადგენლობის სპეციალისტებმა დროულად და სრული მოცულობით მოამზადეს საბრძოლო მანქანები.

განსაკუთრებით სასიხარულოა საერთო ჩინებული შეფასებაში ახალგაზრდა შიმბართა წვლილი. პრაპორშჩიკ გიორგი წიქარიძეს ვერტმფრინავისა და ძრავების მოსახურების ჯგუფის ამ ავიამექანიკოსს სულ რამდენმე თვე დასჭირდა იმისათვის, რომ მესამე კლასის სპეციალისტის საბრძოლო კვალიფიკაცია მიეღო და თანატოლთა შორის პროფესიაში საუკეთესო გამხდარიყო. ყველაფრიდან ჩანს, რომ მისი შემდგომი დაოსტატება არ გაჭიანურდება, მის მხარდამხარ რომ ისეთი ამხანაგები მსახურობენ, როგორნიც არიან კომუნისტები პონომარიოვი და მიხაილოვი.

მეომრული პროფესიის გზას იგი შემთხვევით დაადგა. გიორგი ირკუტსკიდან სამშობლოში ბრუნდებოდა თვითმფრინავით, მის გვერდით სავარძელში აღმოჩნდა №-ის ვერტმფრინავთა ნაწილის მეთაური. მან ჭაბუკს შესთავაზა არმიისთვის დაეკავშირებინა თავისი ბედი.

გიორგი გორის რაიონის სოფელ მერეთში დაიბადა. მამა ადრე დაკარგა და დედას ეხმარებოდა ხუთი და-ძმის გაზრდაში. ჯარში სამსახურის ვადის მოხდის შემდეგ კომკავშირული საგზურით ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობაზე წავიდა. იქ მუშაობდა, სანამ თავის ბრიგადასთან ერთად ტაიგაში არ ააშენა დაბა კირენგა.

გიორგი დათანხმდა ვერტმფრინავთა ნაწილის მეთაურის წინადადებას. პრაპორშჩიკთა სკოლაში სწავლის დროს გადაწყვიტა ბედი ეცადა „შეხუთე ოკეანეში“ — ხელი მიჰყო საპარაშუტო სპორტს. მესამე გადმოხტომამ დაადასტურა კურსანტის არა მარტო გაწვრთნილობა, არამედ ვაჟკაცობაც. აღმოვაჩინა ნაკადმა პარაშუტის ძირითადი გუმბათი საბელებით დაჭლართა. კომკავშირელი არ დაიბნა — სათადარიგო პარაშუტი გახსნა. მიწაზე დაჯდომისთანავე ითხოვა: ერთხელაც გადმოვხტები.

— არ ვიცი, როგორი სპორტსმენი დადგები, მეომარი კი მართლა კარგი იქნები, — უთხრა ნაწილში გაცილებისას სკოლის უფროსმა.

არც შემცდარა ახალგაზრდა ავიატორთა გამოცდილი მოძღვარი. საავიაციო ტექნიკის დამოუკიდებლად მომსახურების უფლება პრაპორშჩიკმა გ. წიქარიძემ თანატოლთა შორის ერთ-ერთმა პირველმა მიიღო. და შემდგომში იგი ყოველთვის ცდილობდა გაემართლებინა ეს დიდი ნდობა.

ამ ცოტა ხნის წინათ კი ახალგაზრდა ავიამექანიკოსს სხვა სპეციალისტებთან ერთად დაეკვალა სათადარიგო აეროდრომზე ვერტმფრინავის ძრავის საჯარისო შეკეთება. იგი ოც საათზე მეტ ხანს მუშაობდა სუსხიან ქარში, მაგრამ ვერც რთულმა სამუშაომ, ვერც საველე პირობებმა უარყოფითი გავლენა ვერ მოახდინა რემონტის ხარისხზე. აქ გიორგიმ პირველად ირწმუნა თავისი ძალები და ცოდნა, დაინახა, რაოდენ დიდი ბედნიერებაა ადამიანისათვის იცოდეს, რომ მისი მარჯვენა საერთო საქმეს სჭირდება.

...აი, ასე იწყებს ახალ სასწავლო წელს პრაპორშჩიკი გ. წიქარიძე. მას ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება მოუწევს იმისათვის, რომ მეომრული შრომის ოსტატი გახდეს. მაგრამ პირველი გამარჯვებანი გვარწმუნებს: იგი სწორ გზას დგას, მას საომარი მომზადების მაღალი მწვერვალების დაპყრობა ძალუძს.

მ. სირტლანოვი.

სურათზე: პრაპორშჩიკი გ. წიქარიძე.

იშვიათად, რომ ახლა სადარბაზოში არ წაწყდე მოზარდების პატარა ჯგუფს, საღამოს საათებში მყუდროდ რომ მოკალათებულან კიბის უჯრედზე. როგორც წესი, გიტარით ანდა მაგნიტოფონით და, ვაგლახ, არც ისე იშვიათად ბოთლითაც. მღერიან, აბოლებენ, რაღაცაზე კამათობენ. ერთმანეთს ხვდებიან. ერთხელ გადავწყვიტე, როგორც იტყვიან, „კონტაქტი დამემყარებინა“. კომპანია უწყინარი და ინტელიგენტურიც კი მეჩვენა. მაგრამ ფეხქვეშ ნამწვი და მწეველი გოგონები აფუჭებდნენ სურათს.

— რაიმე ქილა მაინც გამოგეყენებინათ საფერფლედ, — ვუსაყვედურე. — ხუთე მოგწერთ სადარბაზოში საღამოს საათების ასე ფლანგვა?

— შაშ სადღა წავიდეთ? — მიპასუხა გიტარიანმა ყმაწვილმა.

— კლუბში ან ახალგაზრდულ კაფეში წასულიყავით...

— მერედა გვაქვს აქ კლუბი ან, როგორც ბრძანეთ, ახალგაზრდული კაფე? — ბიჭებმა მხიარულად გაიცინეს. — სხვათა შორის, გვინდოდა გაგვეხსნა ჩვენი კლუბი, შეგვიქმნა ანსამბლი, წასულიყავით ფესტივალზე. საბინაო-საექსპლოატაციო კანტორაში გვითხრეს, თქვენი კლუბისათვის ადგილი არა გვაქვსო.

მოზარდთა პრობლემა დღეს ერთ-ერთი უძნელესია. ძნელი ასაკიაო, ამტკიცებენ ერთხმად ფსიქოლოგები, პედაგოგები, მშობლები. იქნება არა იმდენად ასაკია ძნელი, რამდენადაც ამ ასაკშია სიძნელე? იგივე ფსიქოლოგები და სოციოლოგები ამტკიცებენ, რომ მოზარდთა ქცევის თითქმის ყველა ანომალიის მიზეზი ის არის, რომ არა აქვთ შესაძლებლობა თავიანთი ენერგია ჩაყენონ საზოგადოებრივად სასარგებლო კალაპოტში. ალ ყმაწვილებმა მოინსურვეს ანსამბლის შექმნა, საბინაო-საექსპლოატაციო კანტორამ კი თავიდან მოიშორა. თუმცა ბავშვებთან და მოზარდებთან მუშაობა მის მოვალეობაში შედის. მას ხომ კიდევ სხვა რამდენი საქმე აქვს, რომელთა გამო თავი უსაქმდება ანდა საერთოდ ძლივს დგას ფეხზე! რა ემღერებათ. თბილისშიც მოზარდები იგივე საზრუნავია, ამიტომ მთი დასვენების ორგანიზაცია საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სადაც ისინი ზშირად საკუთარი თავის ანაბარად რჩებიან, მიკროსაბჭოების ერთ-ერთი უმთავრესი საქმეთაგანი გახდა.

ოტალის წინააღმდეგობის გმირის ფორე მოსულიშვილის სახელობის მიკრორაიონში მხატვრული თვითმოქმედების სხვადასხვა წრეში მეცადინეობს სამასზე მეტი ბავშვი. ანსამბლი „მხიარული ტარანები“ ქალაქში პროფესიული ანსამბლის პოპულარობით სარგებლობს, ხოლო ბავშვთა ქოროგრაფიულმა ანსამბლმა „ოგლანდა“ სახალხოს წოდებაც კი დაიმსახურა. მასში ორასზე მეტი ყმაწვილია. ვაზისუბნის ქორეული ცეკვის სტუდიაში 90 ბავშვი მეცადინეობს, სამეჯლისო ცეკვებისაში — იმდენივე პლუს ვოკალური ჯგუფი, საესტრადო ანსამბლი და აერობიკის ჯგუფი — მასში ასზე მეტი ქალბატონია. ვაზისუბნის მიკროსაბჭოს თავმჯდომარემ ე. ჭუმბურიძემ უზარმაზარ უეცრელი ადგილამდე მიმიყვანა, რომელიც ერთ-ერთ კვარტალს განაპირად აკრავს და სრულიად გამოუსადეგარია რაიმე მშენებლობისათვის.

— აქ განვალაგებთ ბავშვთა ბოტანიკურ ბაღს. ყველა მშობელს ფეხზე დაუყენებთ.

დანარჩენ მიკრორაიონებში სურათი დაახლოებით ასეთივეა. ყმაწვილები ყოველმხრივ ცდილობენ საინტერესო საქმეს მოჰკიდონ ხელი, სასარგებლო გატაცებით შეიტანონ თავისუფალი დროის ის ვაკუუმი, რომელიც „დიდი ხნით არასდროს რჩება ვაკუუმად, რამდენადაც ცნობილია, რომ ბუნება სიცარიელეს ვერ იტანს.

ადამიანები, რომელებსაც შტატით ბავშვთა დასვენების საქმე ევალებათ, მიკრორაიონებში საკმაოზე მეტია. კლასგარეშე მუშაობის პედაგოგ-ორგანიზატორები არიან, ყოველ სკოლაში. ფიზკულტურის მასწავლებელი, ბავშვთა ოთახების ინსპექტორები და თითო პედაგოგ-ორგანიზატორი და ფიზკულტურელ-მეთოდისტი ყოველ საბინაო-საექსპლოატაციო კანტორაშია. უბედურება ის არის, რომ ისინი არაფრით უკავშირდებიან ერთმანეთს.

მიკროსაბჭოებმა შეძლეს გაეერთიანებინათ ისინი, აგრეთვე, მშობელთა კომიტეტების წევრები ქმედითუნარიან პედაგოგიურ რაზმში. ყველანი შევიდნენ კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდებთან მუშაობის სექციაში. დიღომში მას სათავეში უდგას მუსიკის მასწავლებელი ქალი ე. წოწორია. მან მიამბო, რომ სექციის წევრები დღენიადაგ ამოწმებენ სანიტარიულ მდგომარეობას, სკოლებში ბავშვთა კვებას. პროფტექმასწავლებლის სასადილო-ბუფეტისა და სასპავშო ბაღის სამზარეულოს მუშაობა კომიტეტზეც კი განიხილეს.

ყველა სოციოლოგიური გამოკვლევა ადასტურებს: თანამედროვე სახლებში ადამიანები ცუდად ან სრულებით არ იცნობენ მეზობლებს: ვინ არიან ისინი, რას აკეთებენ, რა უჭირთ, დაკავშირდეს ისინი საერთო ინტერესით, გაერთიანეთ საერთო საქმიანობით და თქვენს წინაშე წარმოდგება კოლექტივი. როგორც აღმოჩნდა, შესანიშნავი შემაკავშირებელი რგოლია ბავშვები. ჭკვიანი სახლის კომიტეტის ნებისმიერ თავმჯდომარეს, რამდენი ძალ-ღონის დახარჯვაა ჩვეულებრივ საჭირო, რომ ბინებიდან შაბათობაზე გამოიყვანონ ათამდე მოზინადრე. და ბოლოს და ბოლოს, რა გამოვა ამისგან. დიღომში ფეხბურთის მინდვრისა და სასპორტო მოედნების ან ვაზისუბანში საჯდაო დარბაზის მშენებლობაზე არავის უთბოვია მისვლა, თვითონ ითხოვდნენ სამუშაოს. ბავშვებისათვის ორკეტიანები. ბავშვები ფეხბურთს თამაშობენ, მღერიან, ცეკვავენ, მშობლები კი გულშემატკივრობენ მათ და.. ახლოს ეცნობიან ერთმანეთს.

როცა ხალხს ყოფა და დასვენება უფრო შინაარსიანი ხდება, ადამიანები უფრო ადამიანურები ხდებიან და სოციალურად პასუხისმგებლებიც, პასუხისმგებელი საქმისათვის, რომელიც პირადად მარტო მათ როდი ეხება. თბილისის სტუმრები აღტაცებით ეცნობიან ძველი ქალაქის განახლებულ კვარტალებს, მისი შუა საუკუნეების ცენტრს. და ეს მარტო მშენებლებისა და რესტავრატორების ხელით როდი გაკეთდა. ბარათაშვილის, შავთელის, სიონის ქუჩებისა, სანაპიროს რამდენიმე ასეული მცხოვრები უანგაროდ ეხმარებოდა მათ. ამიტომაც უკვე ტრადიცია გახდა ქუჩების დღესასწაულების მოწყობა. ეს რაღაც გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ კეთილმოწყობა. დიახ, შენთანა ბარეგანი იერსახის ბალამაზება, მწვანე კუთხეების შექმნა — ყოველივე ეს შედის პროგრამაში. მაგრამ მთავარია თვით დღესასწაული, ადამიანური ისტორია მიამბო ყარამან ბერიძემ, მიკროსაბჭოს თავმჯდომარემ. როცა მარტოხელა პენსიონერმა ე. გადიკინმა ფეხი მოიტეხა, მისი მოვლა საბჭოს წევრს დ. მურადოვს მიანდეს. მან მოუარა, შემდეგ კი ორი მარტოხელა ხანდაზმული ადამიანი დაიქორწინა და უკვე მარტოხელებიც არ არიან. ამიმად ჯანმრთელობის დაცვისა და სოციუზრუნველყოფის სექცია ესწრაფვის დიღმის პოლიკლინიკაში გაიხსნას ჭერიატრიული კაბინეტი.

ბარათაშვილის სახელობის მიკროსაბჭოში აქტივისტთა, გულისხმიერი ადამიანების ჯგუფი, რომელსაც სათავეში უდგას პენსიონერი ანტონინა ტრასკუნოვა, პარტიის წევრი 40 წლის სტაჟით, ყოველ დღესასწაულზე და დაბადების დღეს საჩუქრებს უმზადებს მარტოხელა მოხუცებს. უძლურებს აქ მეზობლები უვლიან. თავდადებისათვის ზოგიერთი მათგანი მიკროსაბჭოს რეკომენდაციით დაჯილდოებულია რაისაბჭოს აღმასკომის სიგელით. წარმოგიდგენიათ, სიგელი ელექტროლიბისათვის!

არა, მაინც „ჩემი სახლი ჩემი ციხე-სიმაგრე არ არის“. ციხე-სიმაგრეში მტრებს ემალებიან. მე კი არ ვისურვებდი ჩემი მეზობელი მტრად მყავდეს მოკიდებული. მე ვისურვებდი, რომ იგი იყოს ჩემი მეგობარი, მე კი მისი — რომ მძიმე წუთებში ყოველთვის გაუუწოდოთ ერთმანეთს დახმარების ხელი, სიხარულიც შუდამ ერთად გავიზიაროთ, რომ ვიყოთ არა მარტო ერთმანეთის გვერდით, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ერთად!

იმაზე, თუ როგორ უწყობენ ხელს მიკრორაიონების საზოგადოებრივი საბჭოები მეზობლების კეთილურთიერთობათა აღზრდას და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით თვითმმართველობის ჩვენების განვითარებას, შეეცადე ზოგადად მომეთხრო.

საბჭო: რწმუნებები და პრაქტიკა

იქ, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ

თბილისის მიკრორაიონები თავიანთ მცირე ტერიტორიებზე გახდნენ ჭიმშრიტი ბატონ-პატრონები, საზოგადოებრივი ცხოვრების აკუმულატორები. ყოველივე ეს ასეა და... არც არის ასე. ჯერ ერთი, შენგებულად შევარჩიე საუკეთესო მიკროსაბჭოები, ხოლო მათს მუშაობაში ყურადღება გავამახვილე მომგებიან მომენტებზე, ე. ი. შევეცადე „დამეხატა „ოპტიმალური მოდელი“. მაგრამ ცხოვრებაში ჩვეულებრივ მოქმედებენ რეალიები, რომლებიც თითქმის არასოდეს ემთხვევიან იდეალს. მით უფრო ეს ეხება მიკროსაბჭოებს, თუნდაც იმიტომ, რომ ისინი ჯერ კიდევ ექსპერიმენტის სტადიაში არიან. ნებისმიერი ექსპერიმენტი კი, პოეტის სიტყვებს ეექსპერიმენტის სახით ვაზისუბნის მიკრორაიონში კვლავ გამოეცადა თავდაპირველი მოდელი: გაეერთიანებინა სამივე საბინაო-საექსპლოატაციო სამმართველო მიკროსაბჭოს საწყისებზე. გადაწყვეტილება მიიღეს წელიწადნახევრის წინათ, მაგრამ დღესაც არ გასულა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კედლებს.

მიკროსაბჭო უნდა იყოს არა წმინდა საზოგადოებრივი ორგანო, არამედ შერეული, სამეურნეო-ადმინისტრაციული ფუნქციებით აღჭურვილი, ამ აზრს იზიარებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მარქსისტ-ლენინისტის უნივერსიტეტის რექტორი შ. პაპიძეც. იგი იდგა ექსპერიმენტის სათავეებთან და ამჟამად მიკროსაბჭოების პრობლემებში ცენტრალური კომიტეტის სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთი ხელმძღვანელია. „ჩვენს თვალწინ იბადება შესაძლებელია, ახალი დამნისტრაციული რგოლი, თქვა შალვა პაპიძემ, — ასეთ რგოლზე მოთხოვნილება მწვავედ იგრძნობა, რამდენადაც საქალაქო მიკროაიონები გარკვეულად უმართავი ხდებიან: რაიონში მცხოვრებთა რიცხვი ზოგჯერ ას-ორას ათასს აღწევს.

გამახსენდა საუბარი ბარათაშვილის სახელობის მიკროსაბჭოს თავმჯდომარე მორგოშიასთან. მან მიამბო, რომ აკოფიანის ქუჩაზე ერთ-ერთი სახლის კაპიტალურ შეკეთებას ისე უხეიროდ აწარმოებდნენ, რომ საბჭომ შეჩკეთებული სამმართველოს წინაშე დააყენა ნამუშაოთა მწარმოებლის მოხსნის საკითხი. იქ არაკეთილი რეაგირებაც კი არ მოუხდენიათ.

ამ შემთხვევაში, დიახ, რამდენადაც მიკროაიონის ტერიტორიაზე კომუნალური სამსახურებისა და საწარმოთა მუშაობის კონტროლი დებულებით მიკროსაბჭოს აქვს დავალებული, მაგრამ ყოველივის ადგილი როდია ამ წესის განხორციელება. თვით აღმასკომებიც ყოველთვის ჯეროვნად რიგი უჭერენ მხარს თავიანთ საზოგადებრივ მუშაკებს, არ ზრდიან მათს ავტორიტეტს. იმავე დიღომში, მაგალითად, ფასანაური ავტოსადგომების შესახებ გადაწყვეტილება ვინ იცის, როდის მიიღეს, მშენებლობას კი დღესაც არ შედგომიან.

ელიან მობინადრეები, რომ მათი მიკროსაბჭო იყოს არა მარტო ოფიციალური დაწესებულება, რომელსაც შეიძლება სჩივრით მიმართო, არამედ, უწინარეს ყოვლისა, თავისებური კლუბი. მხედველობაში გვაქვს საჯარო შეკრებები, ფესტივალები, ამაღელვებელი ლოტარეა, ბენეფისები, ანდა ბინებში ერთ-ერთ ოთახებში „ბინა-ბინა“ ... ...

ინფორმაციათა ერთიანი ბიბლიოთეკა
ფაქტები • მოვლენები

ექსპრეს-ინფორმაცია

დანიშვნა

მისი ცხოვრების ხიდები

სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს № 12 ხიდსაშენებელი ტრესტის „მთავარხიდმშენის“ მმართველად დანიშნა ბორის მელიქსადეკის ძე ჰიღვარი.



ბ. მ. ჰიღვარია დაიბადა 1930 წელს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია. აქვს უმაღლესი განათლება.

ბორის ჰიღვარიას მთელი შრომითი ბიოგრაფია დაკავშირებულია ხიდმშენებლობასთან.

— იქნებ ახლა ეს ბანალური მოგეჩვენოთ, — ამბობს იგი, მაგრამ ხიდმშენებლობის სიყვარული სიყრმიდანვე დამყვა. შვიდი წლის ვიყავი, როცა ჩვენს სოფელში, ჭრებალოში, რომელიც ამბროლაურის რაიონს ეკუთვნის, რიონზე გადებული ხიდი ჩატყდა და ჩემი თანასოფლელები ამბოგრეხულმა მდინარემ ჩანთქა. აი, მაშინ იყო, პირველად რომ ვიფიქრე, ხიდი ისეთი უნდა ააგო კაცმა, საუკუნეებს გაუძლოს-მეთქი. მტკიცედ გადავწყვიტე ასეთი ხიდების შენება. სწორედ ამან განსაზღვრა მომავალი სპეციალობის არჩევანი.

1953 წელს ხიდებისა და გვირაბების მშენებლობის ინჟინერი ბ. მ. ჰიღვარია ოსტატად გაამწესეს თათრეთის ასს რესპუბლიკაში აგრის-პრონნინ-სურგუთის რკინიგზის მშენებლობაზე. იწყება მისი შრომითი ბიოგრაფია.

ხიდები ნიშანსვეტებად რჩებოდნენ განვლილ ცხოვრების გზაზე და ნიშანსვეტებადვე აღიმართებოდნენ წინ. იგი აშენებდა გორკში, ვლადიმირში, ბატაისკში, პიატიგორსკში, ერევანში, დოლიჟანში, შავი ზღვის სანაპიროზე. თითქმის ნახევარი საბჭოეთი მოიარა.

500-ზე მეტი ხიდია ბ. ჰიღვარიას ანგარიშზე. ამ ხიდებით იარა მას რიგითი ოსტატიდან ხიდმშენებელთა რაზმის უფროსამდე, ახლა კი ტრესტის მმართველამდეც. სამშობლომ დიდად დაუფასა ამაგი კომუნისტ მშენებელს — დაჯილდოვა იგი ხალხთა მეგობრობისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, მედლებით, საპატიო სიგელებით, მიანიჭა მას რსფსრ დამსახურებული მშენებლისა და „საპატიო სატრანსპორტო მშენებლის“ წოდებები.

— რაგ გამოიწვია ტრესტის ჩამოყალიბება საქართველოში?

— ასეთი კითხვით მიმართეთ ამ ტრესტის პირველ მმართველს.

— ტრესტის შექმნა დროის გადაუდებელი მოთხოვნით არის ნაკარნახევი, — გვითხრა პატივცემულმა ბორისმა. — ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მგზავრთა გადაყვანა და ტვირთხდვა ამიერკავკასიის რკინიგზაზე, დაიწყო კავკასიონის უნიკალური საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობა, რაც საჭიროს გახდის ათობით დიდი თუ პატარა ხიდის, ვიადუკის, სხვა ნაგებობის აღმართვა. სწორედ ყოველივე ამან განაპირობა ისეთი სამშენებლო ორგანოს შექმნა, რომელიც თავს იღებს დაგეგმვის, დაპროექტების, დაფინანსების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, მშენებლობის, მერე კი ნაგებობათა ექსპლოატაციის გაძღოლის მთელ საქმეს. ყველა ეს ფუნქცია ახლად ჩამოყალიბებულმა ტრესტმა უნდა შეასრულოს.

— რა ამოცანები აქვს გადასაწყვეტი ტრესტს უახლოეს ხანს?

— ძალიან ბევრი, მაგრამ მთავარს თუ გამოვყოფთ, ეს იქნება ხელშეწყობა კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის ძირითად შემკვეთს — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, აგრეთვე სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს საპროექტო ინსტიტუტებს — „კავკასსატრანსპროექტს“ და „თბილისსატრანსპროექტს“, „კავკასტრანსმშენის“ ტრესტსა და „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოს. ამასთან ერთად საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ძირითადი უმაღლესი სასწავლებელია, სადაც ხიდმშენებელთა კადრები მზადდება.

ხიდები... მრავალი ხიდი აუგია თავის სიცოცხლის მანძილზე ბ. მ. ჰიღვარიას და, დაე, არც ჰქონოდეს მას ულანასკნელი ხიდი.

რ. დავიდოვი,
საქინფორმის კორ.

სიფხიზლე და კულტურა



გამოვიდა სიფხიზლისათვის ბრძოლის საკავშირო ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანოს —ახალი ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „ტრეზვოსტ ი კულტურის“ („სიფხიზლისა და კულტურის“) 1986 წლის პირველი ნომერი.

მასობრივი მკითხველებისათვის განკუთვნილი ჟურნალი თავის ამოცანად ისახავს იყოს ყველა იმათი კეთილი და საჭირო მრჩეველი, ვისაც გულწრფელად სურს სიფხიზლე დაამკვიდროს ჩვენი სოციალისტური ყოფის ნორმად.

ჟურნალ „ტრეზვოსტ ი კულტურის“ პირველი ნომრის ფურცლებიდანვე რედაქციას სურდა ეუწყებინა, — ვკითხულობთ სარედაქციო მიმართვაში, რომ ეცდება ფართოდ გააშუქოს საბჭოთა ხალხის მიღწევები მატერიალური წარმოების, კულტურის, ყოფის, საზოგადოების სულიერი ცხოვრების სფეროებში. ჟურნალის თითოეული პუბლიკაციის მიზანი იქნება იმ ამოცანების შესრულება, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში რომ არის დასახული, სიფხიზლისათვის საზოგადოებრივობის უკომპრომისო და მტკიცე ბრძოლის ყოველმხრივი განვითარება, ბრძოლისა, რომელიც უკვე დაიწყო და პარტიის, მთელი ხალხის ნებით შეუნელებლად და თანამიმდევრულად ძლიერდება.

ჟურნალში მკითხველი იპოვის მრავალფეროვანი თემატიკის მასალებს უალკოჰოლო ტრადიციებსა და ადათ-ჩვეულებებზე, იმაზე, თუ როგორ წყდება დასვენების, ტურიზმის, ჯანმრთელობის დაცვის, პიროვნების ფიზიკური და სულიერი განვითარების პრობლემები; გაშუქებული იქნება კომკავშირისა და ახალგაზრდობის საქმეები, სამამულო და საზღვარგარეთულ მეცნიერებათა მიღწევები და ძიებანი. ყოველი ნომერი გვაუწყებს სიფხიზლისათვის ბრძოლის საკავშირო ნებაყოფლობითი საზოგადოების, რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში მისი მრავალრიცხოვანი აქტივის საქმიანობას სიფხიზლისათვის ბრძოლაში. ჟურნალში გამოქვეყნდება ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები, რომელთა როლი მეტად დიდია ანტიალკოჰოლურ ბრძოლაში.

სიფხიზლისათვის ბრძოლის საკავშირო ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანო — ჟურნალი „ტრეზვოსტ ი კულტურა“ იწყებს გამოსვლას ლენინური პარტიის მოახლოებული XXVII ყრილობით გამოწვეული საყოველთაოსახალხო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის კეთილსასურველ პერიოდში.

ცხადია, „კიდევ უფრო სწრაფად წავა წინ ჩვენი მოძრაობა, — ვკითხულობთ ჟურნალის მოწინავე წერილში, — კიდევ უფრო ენერგიულად გადაწყდება დიადი ამოცანები, რომლებსაც დაყენებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობა“.

ჟურნალი უხვად არის ილუსტრირებული.

ქვემოთ შემცირებით გთავაზობთ ჟურნალის ერთ-ერთ პუბლიკაციას.

კითხვა-პასუხი

წერილები რედაქციაში... ამ წერილებმა მაშინვე დაიწყო დენა, როგორც კი გამოვაცხადეთ ჟურნალ „ტრეზვოსტ ი კულტურას“ („სიფხიზლე და კულტურა“) მისამართი: 103006, მოსკოვი, ჩეხოვის ქუჩა, 18. წერილებში წარმატებას უსურვებენ რედაქციის კოლექტივს, გვთავაზობენ რჩევა-დარიგებასა და წინადადებებს, გვიზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, თავიანთ აზრს იმ პრობლემებისა გამო, რომლებიც ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მუშაობის პროცესში წამოიჭრება. და, რა თქმა უნდა, — შეკითხვები. რედაქცია მკითხველებს აცნობებს: „კითხვა-პასუხის“ კარი ჟურნალში მუდმივია.

ჩვენს შრომითს კოლექტივში ერთი მუშა სისტემატური ლოთობისათვის პროფკავშირიდან გარიცხეს. მართლზომიერია თუ არა ეს გადაწყვეტილება და რა მოქყვება მას ამ მუშისათვის?

ვ. კრიპხინი,
კუიბიშევის ოლქი.

უპასუხებს საკავშირო პროფსაბჭოს საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგის მოადგილე **ვ. სალენკო.**

პროფკავშირის წევრის საწესდებო ვალდებულებებს შორის არის ასეთი ვალდებულებაც: იბრძოლოს ჯანსაღი ყოფა-ცხოვრების განმტკიცებისათვის, სხვადასხვა ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებისა და წარსულის სხვა გადმონაშთების წინააღმდეგ, შეასრულოს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები.

ლოთობა, უწინარეს ყოვლისა, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევაა, მაშასადამე,—სსრ კავშირის პროფკავშირთა წესდების მოთხოვნებისაც. ამატომ პროფკავშირულ ორგანიზაციას უფლება აქვს ასეთი ადამიანების მიმართ გამოიყენოს საჯელის ნებისმიერი ის ღონისძიება, რომელსაც წესდება ითვალისწინებს, და პროფკავშირიდანაც კი გარიცხოს.

როგორც ცნობილია, იმას, ვინც პროფკავშირის წევრია, აქვს შემდეგი უპირატესობანი: სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ან კოლმეურნეთა სოციალური დაზღვევის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდიდან კანონმდებლობის შესაბამისად იღებს გადიდებულ დახმარებას იმათთან შედარებით, ვინც პროფკავშირის წევრი არ არის; პირველ რიგში იღებს სანატორიუმების, სანატორიუმ-პროფილაქტორიუმების, პანსიონატების, დასასვენებელი სახლებისა და ბაზების საგზურებს, ტურისტულ საგზურებს, აგრეთვე შვილებისათვის ბაგის, საბავშვო ბაღის, პიონერთა ბანაკის საგზურებს.

თუ პროფკავშირიდან გარიცხეს მუშაკი, ცხადია, ამ უპირატესობებით ვეღარ ისარგებლებს, სანამ პროფკავშირის რიგებში აღდგენის უფლებას არ დაიმსახურებს.

სამედიცინო წიგნებში ლუდს ალკოჰოლიან სასმელებს შორის იხსენიებენ. მაგრამ ლუდს ხომ უალკოჰოლო მრეწველობა აწარმოებს! და საერთოდ, ხომ არ ვაზვიადებთ ლუდის მავნეობას?

ი. ბარაკეტოვი,
ქ. ვოლგოგრადი.

უპასუხებს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის სფსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მოსკოვის ფსიქიატრიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი **ბ. მ. ენტინი.**

ლუდისა და უალკოჰოლო-სასმელების წარმოება ერთნაირი ტექნოლოგიით ხდება. მაგრამ მარტო ამის საფუძველზე ლუდს უალკოჰოლო სასმელებს ვერ მივაკუთვნებთ. იგი ხომ 2-3 და მეტ პროცენტ ალკოჰოლს შეიცავს.

ლუდის სისტემატური სმა ავითარებს ლუდის ალკოჰოლიზმს — ავადმყოფობას, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული ბევრ ტრადიციულ „ლუდიან“ რეგიონში. გარდა ამისა, სითხის დიდი ოდენობით მიღება იწვევს „გულის სერიოზულ დაავადებას — მიოკარდის დისტროფიას, რომელსაც სხვაგვარად „გულის ლუდოვან სენს“ უწოდებენ.

— ბოლოს, „ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გათვალისწინებულია სასჯელის ადმინისტრაციული ღონისძიებანი საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი სასმელების სმისათვის ან სიმთვრალის დროს გამოჩენისათვის.

იმ შემთხვევაში, როცა, ითვალისწინებენ რა ჩადენილი დარღვევის ხასიათს და დამრღვევის პიროვნებას, მიზანშეწონილად ცნობენ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების გამოყენებას, დამრღვევი თავისუფლდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან. მასალები განსახილველად გადაეცემათ ამხანაგურ სასამართლოს, — საზოგადოებრივ ორგანიზაციას ან შრომითს კოლექტივს. ეს ნიშნავს, რომ მოცემულ პირთან შეიძლება ჩაატარონ განმარტებითი საუბარი, მისი საქციელი საერთო კრებაზე მსჯელობისა თუ პრესაში კრიტიკის საგანი გახადონ. ადმინისტრაციას პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით შეუძლია ასეთ პირს მთლიანად ან ნაწილობრივ შეუწყვიტოს პრემიები, არ მისცეს შეღავათიანი საგზურები და წართვას სხვა უპირატესობანი, აგრეთვე გადაუტანოს ბინის მიღების რიგი.

ცალკეულ შემთხვევებში ამხანაგურ სასამართლოს, საწარმოს, დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიას შეუძლიათ ბრალეულის მიმართ გამოიყენონ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება ორმოცდაათ მანეთამდე ფულადი ჯარიმის გადახდევინებით.

ჟურნალი „ტრეზვოსტ ი კულტურა“. 1986 წ. № 1.

საბჭოთა მეცნიერების ახალი მიჯნები

საბჭოთა კავშირში „მირ“ ორბიტული სამეცნიერო სადგურის გაშვებამ საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და მეცნიერთა დიდი ინტერესი გამოიწვია. მათს კომენტარში აღნიშნულია კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი ათვისების საბჭოური პროგრამის თანმიმდევრულობა, მისი განუხრელი წინსვლა-განვითარება. ხაზგასმულია, რომ დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე ახალი სადგურის გაჩენა მნიშვნელოვნად აფართოებს საბჭოთა სწავლულებისა და მათი საზღვარგარეთელი კოლეგების შესაძლებლობებს, რომლებიც ერთად მონაწილეობენ კოსმოსური პროგრამების განხორციელებაში, სამყაროს ათვისებაში.

ბელგრადი. „მირ“ სადგური სრულიად ახალი ნაბიჯია ორბიტული ლაბორატორიების შექმნის პროგრამის შესრულების გზაზე. თავისი კონსტრუქციითა და ტექნიკური აღჭურვილობით იგი გაცილებით სჯობს თავის წინამორბედებს — „სალუტ“ სერიის სადგურებს. აქ შეიძლება დიდხანს იცხოვროს კომფორტის პირობებში და იმუშაოს სპეციალიზებულ ბლოკ-ლაბორატორიებში კოსმონავტთა მრავალრიცხოვანმა ეკიპაჟმა, ხაზს უსვამს ტანიუგის საგენტო. ექვსი საპირაპირო კვანძით აღჭურვილი ფიბერპირების ახალი სისტემა შესაძლებლობას გვაძლევს ვთქვათ, რომ დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე გაჩნდა მსოფლიოში პირველი კოსმოსური „დასახლება“.

საგანგებო აღნიშნავს, რომ ორბიტაზე ახალი თაობის სადგურის გაყვანა მისმა შემქმნელებმა მიუძღვნეს სკკპ მომავალ XXVII ყრილობას.

ნიუ-იორკი. „მირ“ ორბიტული სამეცნიერო სადგურის გაშვების ამბავმა ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ყურადღება მიიპყრო. გამმარტავს რა ამ მოვლენას, სი-ბი-ეს ტელეკომპანია აღნიშნავს, რომ „მირი“ წარმოადგენს „მესამე თაობის კოსმოსურ სადგურს, რომელსაც რიგრიგობით მიადგებიან კოსმოსური ხომალდები. იგი აღჭურვილია ექვსი საპირაპირო კვანძით, აქვს იზოლირებული საცხოვრებელი ბლოკები კოსმონავტებისათვის“. ეი-ბი-სი ტელეკომპანია თავის მხრივ იუწყება, „საბჭოთა კავშირმა ორბიტაზე გაიყვანა კოსმოსური სადგური, რომელიც მომავალში მუდმივმოქმედი ორბიტული სადგური გახდებაო“.

განმარტავს რა საბჭოთა კოსმოსური მეცნიერების ახალ წარმატებას, ასოშიეიტედ პრესის სინფორმაციო სააგენტო ხაზს უსვამს, რომ ამჟამად დედამიწის ირგვლივ კოსმოსურ სივრცეში ფუნქციონირებს ერთბაშად ორი საბჭოთა ორბიტული სადგური — „მირი“ და „სალუტ-7“.

• ბრიუსელი. „საბჭოთა კავშირმა განაახორციელა „კოსმოსური ბინის“ გაშვება“ — ამ სათაურით აქვეყნებს ბელგიის დედაქალაქის გაზეთი „ლიბრ ბელჟიკი“ „მირ“ ორბიტული სადგურის გაშვების ამბავს. „სანამ სადგურში პირველი კოსმონავტები გაიგზავნება, — წერს გაზეთი, — მას უადრესად სერიოზულად გამოცდიან, რათა შეამოწმონ სადგურის კონსტრუქციებისა და სისტემების საიმედოობა. ეს გამოცდა გაგრძელდება მას შემდეგაც, რაც სადგურში ეკიპაჟი დაბინავდება“.

„მირ“ კოსმოსური კომპლექსის გაშვება, — ხაზს უსვამს „ლიბრ ბელჟიკი“, — მოწმობს, რომ სსრ კავშირს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განაგრძოს ხანგრძლივი სარგებლობის ორბიტული სადგურების შექმნა და ექსპლოატაცია კოსმოსში და ამ დარგში საბჭოთა მეცნიერებმა დიდი დადებითი გამოცდილება შეიძინეს.

ბერნი. შვეიცარიის გაზეთები უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიიჩნევენ ახალი საბჭოთა „მირ“ ორბიტული სადგურის გაშვებას. „ნოიე ციურხერ ციტუნგი“ წერს, რომ ეს სსრ კავშირის დიდი წარმატებაა კოსმოსური ფრენის პროგრამის განხორციელების საქმეში. ორბიტაზე მსხვილი სტაციონარული ლაბორატორიის გაყვანა შეიძლება მივიჩნიოთ ახალი ეპოქის დაწყებად დედამიწის ირგვლივი კოსმოსური სივრცის ათვისებაში, დიდი მრავალმიზნობრივი ორბიტული სადგურების შექმნის ეპოქად, რომლებსაც მუდამ ეყოლებათ ბორტზე ეკიპაჟი. „მირი“ ყველაზე თანამედროვე ტექნიკით არის აღჭურვილი და წარმოადგენს კოსმოსში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და ცდების მოწყობიდან მის აქტიურ გამოყენებაზე გარდამავალ რგოლს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის.

ვენის მოლაპარაკებაზე

ურთიერთმისაღები მორიგების მისაღწევად

ვენა. აქ გაიმართა ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ ვენის მოლაპარაკების უშუალო მონაწილე სოციალისტურ სახელმწიფოთა დელეგაციების ხელმძღვანელთა შეხვედრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის განიარაღებისა და შეიარაღებისადმი კონტროლის ქვეკომისიის წევრთა ჯგუფთან მისი თავმჯდომარის ე. ბარის მეთაურობით. შეხვედრაში მონაწილეობდა სსრ კავშირის დელეგაციის ხელმძღვანელი ვ. ვ. მიხაილოვი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარლამენტართა ყურადღება მიაპყრეს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოლაპარაკებაზე სოციალისტური ქვეყნების მიერ შეტანილი „ცენტრალურ ევროპაში საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სამხედეთო ჯარებისა და შეიარაღების შემცირებისა და ამ რაიონში მბარეების შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების დონეთა შემდგომი გაუდიდებლობის შესახებ შეთანხმების ძირითად დებულებათა“ ვრცელ პროექტს. ამასთან ხაზგასმით აღინიშნა, რომ ისეთი რეალისტური და საქმიანი საფუძვლის უზრუნველყოფის მიზნით, რომელზეც შეიძლება ვენაში ურთიერთმისაღები მორიგების მიღწევა, ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოებმა თავიანთ პოზიციებში მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ელემენტები შეიტანეს.

● იაპონია-აშშ

ამზადებენ ნიადაგს

„ტოკიო. ოფიციალური ტოკიო, რომელიც კვლავ აცხადებს, რომ იაპონია „ფრთხილ“ პოზიციას ადგას ამერიკის „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის მიმართ, თანდათან ამზადებს ნიადაგს, რათა შეუერთდეს ამერიკის „ვარსკვლავეთის ომების“ გეგმებს. როგორც ენ-ეიჩ-ქეი ტელეკომპანია იტყობინება, პარლამენტში გამოსვლისას იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ხ. ოვადამ პირველად გამოაცხადა ოფიციალურად, რომ მზად არიან ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად შეიმუშაონ უახლეს სახეობათა იარაღი, მათ შორის სისტემები, რომლებიც „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ პროგრამის კომპონენტებს წარმოადგენენ. ოპოზიციის დეპუტატთა კითხვაზე ხ. ოვადამ უპასუხა, რომ ვერავითარ პრინციპულ დაბრკოლებებს ვერ ხედავს ასეთი თანამშრომლობის გზაზე. მან ხაზი გაუსვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის დაუშვებს გამონაკლისი და არ გაავრცელებს იაპონიის მიერ გამოცხადებული იარაღისა და სამხედრო ტექნოლოგიის ექსპორტის აკრძალვა.

დაგმეს პროვოკაციული მანევრები

მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგი ფხენიანში

ფხენიანი. კორეის სახალხოდემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები კვლავ დიდ სიფხიზლეს იჩენენ და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ჩაშალონ ამერიკის შეერთებული შტატების ყოველგვარი პროვოკაცია, დაიცვან სოციალისტური მონაპოვრები, განაცხადეს ამერიკა-სამხრეთ კორეის დიდი მასშტაბის ერთობლივი „ტიმ სპირიტ-86“ სამხედრო მანევრების მოწყობის წინააღმდეგ. აქ გამართული მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგის მონაწილეებმა.

მიტინგზე გამოსვლისას კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, ქალაქ ფხენიანის ადმინისტრაციის საქმეთა და ეკონომიკის ხელმძღვანელობის კომიტეტის თავმჯდომარემ კან ხი ვონმა განაცხადა, რომ ეს მანევრები აზიაში ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, რომლის შედეგადაც სამხრეთ კორეა გადაიქცა შორეულ აღმოსავლეთში პენტაგონის უდიდეს სამხედრო პლაცდარმად და ბირთვულ არსენალად. ამიტომ ისეთი წვრთნის მოწყობა, როგორიცაა „ტიმ სპირიტ-86“ პირდაპირ საფრთხეს უქმნის უშიშროებას აზიაში, მშვიდობასა და სტაბილურობას პლანეტაზე. მან მშვიდობისმოყვარე ქვეყნების მთავრობებსა და ხალხებს მოუწოდა დაგმონ „ტიმ სპირიტ-86“ მანევრების მოწყობა და სოლიდარობა გამოუცხადონ კორეელი ხალხის სამართლიან ბრძოლას სამხრეთ კორეიდან ამერიკის ჯარების გამოყვანისა და კორეის ნახევარკუნძულის უბირთვო ზონად გადაქცევისათვის.

ჩადის ამბები

გაყოფის ავბედითი გეგმები

● გარდამავალი მთავრობის თავმჯდომარის განცხადება ● მოითხოვენ ჩადიდან უცხოელთის ჯარების გაყვანას ● სამხედრო ტყვეთა ალიარება

პარიზი. საფრანგეთის იმპერიალისტმა ჩაფიქრებული აქვს ჩადის გაყოფის გეგმები, ნათქვამია ჩადის ეროვნული ერთიანობის გარდამავალი მთავრობის თავმჯდომარის გუკუნი უედეის აქ გავრცელებულ განცხადებაში. მან აღნიშნა, თუ რა სერიოზული შედეგები მოჰყვა ჩადის მიმართ პარიზის ნეოკოლონისტური „ზარბაზნების პოლიტიკის“ განხორციელებას. ეროვნული ერთიანობის გარდამავალი მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს ჩადის ეროვნული ერთიანობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის, აღნიშნა გუკუნი უედეიმ.

უადი-დუმის სამოქალაქო აეროდრომის დაბომბვა იყო შეტევითი, და არა „საპასუხო აქცია, როგორც ამის წარმოდგენას ცდილობენ საფრანგეთის სამხედროები, წერს „ლუმანიტე“. აქ გამართულ პრესკონფერენციაზე საფრანგეთის შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსის მოადგილემ, გენერალმა ბ. ლიტრემ, რომელიც პასუხს აგებს ოპერაციისათვის „ქორი“, ვერ შეძლო წარმოედგინა დამაჯერებელი უმასთან. ნიგერია დაბეჯითებით მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს ცეცხლი და უცხოეთის მთელი ჯარები გამოიყვანონ ჩადიდან.

ლონდონი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება პარიზიდან, მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ საფრანგეთის მთავრობა ჩადში ვითარების პოლიტიკური მოწესრიგების თაობაზე განცხადების მიუხედავად, არ აპირებს გამოიყვანოს იქიდან თავისი ჯარისკაცები. პარიზი „გულგრილად“ ეკიდება აფრიკის ქვეყნების ინიციატივებს კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის მიზნით. რეიტერი აღნიშნავს, რომ საფრანგეთის ჯარები ეხმარებიან ჰაბრეს ძალებს საბრძოლო მოქმედების ხაზზე იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის გადატანაში.

ტრიპოლი. საფრანგეთის „სწრაფი მოქმედების ძალების“ ქვეგანაყოფები უშუალოდ მონაწილეობენ საბრძოლო მოქმედებაში ნჯამენის რეჟიმის მხარეზე. როგორც ლიბიის ჯანას საინფორმაციო სააგენტო იტყობინება, ეს ბადრაიში განაცხადა ჰაბრეს არმიის ასობით სამხედრო ტყვემ, რომლებიც ეროვნული ერთიანობის გარდამავალი მთავრობის ძალებმა შეიპყრეს უმ-შალუბისა და კარაიდის რაიონში ბრძოლების დროს.

ბაგმეს პროვოკაციული მანევრები

მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგი ფხენიანში

ფხენიანი. კორეის სახალხოდემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები კვლავ დიდ სიფხიზლეს იჩენენ და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ჩაშალონ ამერიკის შეერთებული შტატების ყოველგვარი პროვოკაცია, დაიცვან სოციალისტური მონაპოვრები, განაცხადეს ამერიკა-სამხრეთ კორეის დიდი მასშტაბის ერთობლივი „ტიმ სპირიტ-86“ სამხედრო მანევრების მოწყობის წინააღმდეგ. აქ გამართული მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგის მონაწილეებმა.

მიტინგზე გამოსვლისას კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, ქალაქ ფხენიანის ადმინისტრაციის საქმეთა და ეკონომიკის ხელმძღვანელობის კომიტეტის თავმჯდომარემ კან ხი ვონმა განაცხადა, რომ ეს მანევრები აზიაში ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, რომლის შედეგადაც სამხრეთ კორეა გადაიქცა შორეულ აღმოსავლეთში პენტაგონის უდიდეს სამხედრო პლაცდარმად და ბირთვულ არსენალად. ამიტომ ისეთი წვრთნის მოწყობა, როგორიცაა „ტიმ სპირიტ-86“ პირდაპირ საფრთხეს უქმნის უშიშროებას აზიაში, მშვიდობასა და სტაბილურობას პლანეტაზე. მან მშვიდობისმოყვარე ქვეყნების მთავრობებსა და ხალხებს მოუწოდა დაგმონ „ტიმ სპირიტ-86“ მანევრების მოწყობა და სოლიდარობა გამოუცხადონ კორეელი ხალხის სამართლიან ბრძოლას სამხრეთ კორეიდან ამერიკის ჯარების გამოყვანისა და კორეის ნახევარკუნძულის უბირთვო ზონად გადაქცევისათვის.



კუვეიტი

25 თებერვალს კუვეიტელი ხალხი აღნიშნავს ღირსსახსოვარ დღესასწაულს ქვეყნის ისტორიაში — ეროვნულ დღეს

მეოთხედი საუკუნის წინათ სპარსეთის ყურეში მდებარე ეს არაბული სახელმწიფო განთავისუფლდა ინგლისის პროტექტორატიდან და დამოუკიდებლობა მოიპოვა.

კუვეიტის მთავარი სიმდიდრეა ნავთობი. მისი მარაგი მას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია კაპიტალისტურ სამყაროში. კუვეიტის ნავთობის უდიდესი იმპორტიორები არიან იაპონია, ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთ ევროპის ქვეყნები.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განვლილ წლებში კუვეიტმა მკვეთრად იცვალა სახე. იგი ამჟამად ახლო აღმოსავლეთში სავაჭრო და საფინანსო ოპერაციების მნიშვნელოვანი ცენტრია. აქ დიდი ყურადღება ეთმობა განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემების სრულყოფასა და განვითარებას, ეროვნული კადრების მომზადებას.

წლითიწლობით ვითარდება და მტკიცდება საბჭოთა კავშირ-კუვეიტის კავშირურთიერთობანი, რომლებსაც დასაბამი მისცა დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებამ 1963 წელს, ფართოვდება ორმხრივი თანამშრომლობა ეკონომიკურ, სავაჭრო და სხვა სფეროებში.

სურათებზე: აჰმადის ნავთობის მუზეუმში; კუვეიტის დედაქალაქში შექმნილი დიდი ტურისტული კომპლექსის — „არაბული დისნეილენდის“ ტერიტორიაზე.

საქდესინს ფოტო.

მოკლედ

● პარარე. უაღრესად დაძაბული ვითარებაა სამხრეთ აფრიკის პროვინციაში. პოლიციასთან მანიფესტანტების შეტაკებანი ეწყობა ჩესტერვილში დურბანის მახლობლად, სადაც კიდევ სამი აფრიკელი მოკლეს. მოპლაკენგში, იოჰანესბურგის ახლოს, საიდუმლო პოლიციის აგენტებმა დაანგრიეს აპარტეიდის წინააღმდეგ გამოჩენილი მებრძოლის ს. ბიკოს ძეგლი, რომელიც რასისტებმა სპეციალურად აწამეს.

● ბრიუსელი. შეშფოთებულ მოქალაქეთა კომიტეტმა მოუწოდა ქვეყნის პროგრესულ საზოგადოებრივობას საპროტესტო დემონსტრაციებითა და მოქალაქეთა ურჩობის აქციებით შუბდეს 15 მარტს ბელგიის მიწა-წყალზე 16 ამერიკული ბირთვული რაკეტის განლაგების პირველ წლისთავს.

ვაშინგტონის „ორმაგი მიდგომა“

საერთაშორისო კომენტარი

ფილიპინებში ვადამდელი არჩევნები 7 თებერვალს გაიმართა, კრიზისული სიტუაცია კი, რომელიც მას მოჰყვა, კვლავ მწვავდება. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულმა ასამბლეამ (პარლამენტი) გამარჯვებულად გამოაცხადა ახლანდელი პრეზიდენტი ფ. მარკოსი, ბურჟუაზიული ოპოზიციის წამყვანი დაჯგუფებების ბლოკის კანდიდატი კ. აკინო დღემდე უარს ამბობს აღიაროს თავისი დამარცხება და დაჟინებით ირწმუნება, არა ფ. მარკოსმა, არამედ მე მივიღე ხმების უმრავლესობაო. პრეზიდენტის პოსტზე თავის პრეტენზიას კ. აკინო ასაბუთებს იმით, რომ როგორც კენჭისყრის, ისე ხმების დათვლის დროს მოისყიდეს ამომრჩევლები, შეცვალეს საარჩევნო დოკუმენტები, მმართველს სხვა დაუშვებელ ხერხებსა და მეთოდებს.

ყოველივე ამას გარდაუვალად მოჰყვა სამინაო-პოლიტიკური დაძაბულობის გამწვავება, ბურჟუაზ

შრომისა და მხედრული გმირობისათვის

ᲙᲘᲔᲕᲘ. ოცდათექვსმეტი წლის შემდეგ, ყველაზე ღირსსახსოვარი, ყველაზე ამაღელვებელი წუთები განიცადეს ვერიკო ანჯაფარიძემ და ვახტანგ ჯაფუკიანმა. სკკპ XXVII ყრილობის წინ ქართული საბჭოთა თეატრის უხუცესები, რომლებსაც ქვეყანაში ერთ-ერთ პირველებს მიენიჭათ „სსრ კავშირის სახალხო არტისტის“ საპატიო წოდება, მიიწვიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, სადაც საზეიმო ვითარებაში გადასცეს სამკერდე ნიშნები და მოწმობები.

მათთან ერთად ასეთი სამკერდე ნიშნები და მოწმობები იმ დღეს გადაეცა საქართველოს ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა მთელ თანავარსკვლავედს: ოდისეა დიმიტრიადის, ალექსი მაჭავარიანს, ანდრია ბალანჩივაძეს, არჩილ ჭურდიანს, მედეა ამირანაშვილს, ლადარა ჭყონიას, ნანი ბრეგვაძეს, გიორგი ლორთქიფანიძეს, რევაზ ჩხეიძეს, თენგიზ აბულაძეს, მიხეილ თუმანიშვილს...

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდა სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის, შოთა რუსთაველისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი ვ. ი. ანჯაფარიძე.

სამკერდე ნიშნები და მოწმობები ხელოვნების ოსტატებს გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა.

ომის წლებში სხვადასხვა ფრონტზე იბრძოდნენ ეს ჭაღარა ადამიანები, რომლებმაც ღირსეულად მოიხადეს თავიანთი წმიდათაწმიდა ვალი სამშობლოს წინაშე. გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და ვაჟკაცობისათვის და დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავად მათ მიენიჭათ ჯილდოები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით მან გულითადად მიულოცა დაჯილდოებულთ, უსურვა ჯანმრთელობა, ბედნიერება, წარმატებანი ცხოვრებასა და შრომაში სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲘᲢᲔᲚᲘ

— მოთხრობა —

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ სალუტმა დაიქუხა, ჭვეყანამ სული მოითქვა. და სწორედ ამ დროს, გერმანიის ერთი პატარა ქალაქის განაპირას, ფერმერის მიტოვებულ კოხტა კარ-მიდამოში ფიცხელი ომი გადაიხადა კაპიტანმა ლადო გონაშვილმა.

ლადო გონაშვილი ბატალიონის მეთაური იყო.

ნაწილის ოფიცრები ფერმერის ლამაზ სახლში დაბინავდნენ, ხოლო მეომრები იქვე მახლობლად დაბანაკებულიყვნენ. მეკავშირეებმა ფერმერის სახლამდე ტელეფონის საპაერო კაბელიც გასწიეს. სახლი ორსართულიანი იყო, გემოვნებით გაწყობილი. აქაურობას ომის მსახვრალი ხელი არ შეხებოდა. ფართოდ გაშლილი, ამწყანებული ეზო ხეებით იყო შემორაგვული, იქით ქვიტკირის მაღალი ღობე გასდევდა რკინის ჭიშკრით.

ბატალიონის ოფიცრები მეორე სართულის საწოლ ოთახებში ფუფუფა ლოგინებში გამოიჭიმნენ, ოთხი წლის განმავლობაში წამების გზაზე ნაორევი ფეხები შვებით გაშალეს. ერთ პატარა ოთახში კაპიტანი გონაშვილი და მისი მოადგილე პოლიტნაწილში კაპიტანი ჩუმაკოვი მოთავსდნენ. ჭიშკართან გუშაგები ეყენნთ. სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა, გერმანელთა დიდ-პატარა ბანდები ჯერაც დათარეშობდნენ აქაოდ, ჩვენს ნაწილებს თავს ესხმოდნენ და ზარალს აყენებდნენ.

ფერმერის სახლის ქვემო სართულზე ჯარისკაცები იყვნენ და საკმაო იარაღიც ჰქონდათ მზად.

მშვიდი, წყნარი ღამე იღვიძებდა.

იმ დღეს კაპიტანი ლადო გონაშვილი დივიზიის მეთაურს, გენერალ-მაიორ. დუდენკოს უნდა ხელობოდა ჰოლკის მეთაურთან ერთად, აღლუმის სამზადისთან დაკავშირებით. ამ დღისათვის კაპიტანმა პოლკის თერძს, კოხტა მოლისფერი კიტელი შეაკერინა და გვიან ღამით ასეულთა და ოცეულთა მეთაურების თანდასწრებით სათუთად განალაგა და კიტელს მიაბნია ორი წითელი დროშის, ორი წითელი ვარსკვლავისა და ერთიც მეორე სარისხის სამამული ომის ორდენები. განსაკუთრებით უყვარდა თავისი პირველი საბრძოლო ჯილდო, მედალი „მამაკაცობისათვის“. კიტელს კაპიტნის ოქროსფერი ახალთახალი სამხრეებიც მოარგო, ჯიბეში საბუთები ჩააწყო. როცა ჩაიცვა და მნოიანად გამოიკვართა, ოფიცრებმა ტაში დასცხეს, ბიჭად ბიჭი კოხტა იყო, მხრებგაშლილი, ძალოვანი, მუდამ შეუპოვარი, მაგრამ ახალმა კიტელმა უფრო მეტად დაამშვენა.

იმ დაჭეს ახალი კიტელი გერმანელი მნიფესი „დაასვენეს“.

უთენია ბატალიონის ოფიცრებმა თავ-თავიანთ ქვედანაყოფებს შეაშურეს, ქვემო სართულზე მბინდარე ჯარისკაცებიც თან გაყოლეს.

მაისის ოქროსფერი დილა თენდებოდა. კაპიტანი გონაშვილი ფანჯარას მიადგა და მიდამოს გაბედა. მისი უურთასმენა ვერა და ვერ იგუებოდა ოთხი წლის ბეგუნ-გრიალის შემდეგ ასეთ ძმაე, თოფოქოს არაამქვეყნიურ მდუმარებას. ამ ნეტარებით გუ-ლაჩუყებულ ვაჟკაცს ცრემლიც კი მოადგა თვალზე.

ჩუმაკოვს ადგომა მოესწრო, პირიც დაებანა და ქვემო სართულიდან ამოვიდა.

— ბუნებით ტკბებით, ამხანაგო კაპიტანო?

ლადომ არ მიხედა, ცრემლი დაუმალა. ასე დიდი ხანია არ ასჩუყებია გული. შეიძლება ხმაც ამიტომ გაებზარა.

— როგორც იქნა, ვეღირსეთ!..

იდგა კაპიტანი ასე ზურგშექცევით მანამდე, ვიდრე ჩუმაკოვმა კარგი დისასალისვით ფაციფუცი არ მოათავა. იგი გამოეწყო და კართან მივიდა.

— წავედი, ვლადიმერ ნიკოლაევიჩ!.. მანქანას ნახევარ საათში გამოგიგზავნით.

ლადო მისკენ შებრუნდა. კაპიტანმა ჩუმაკოვმა ხელი მხედრულად აუღო, სხარტად შეტრიალდა და ოთახიდან გავიდა. პეწენიკა კაცი იყო, ლადოს ერთგული თანამებრძოლი, ბოლო ორი წლის განმავლობაში სულ ერთად იყვნენ.

ლადომ თვალი ჰკიდა სკამის საზურგალზე ჩამოცმულ თავის ახალთახალ კიტელს. ორდენებსა და მედლებზე დილის ათინათი ციმციმებდა.

ეზოში კაპიტან ჩუმაკოვისა და რამდენიმე ჯარისკაცის ფეხსხმა მიწყდა. მათ ჭიშკართან მსუბუქი ღია მანქანა ელოდათ.

შინ კაპიტანი გონაშვილი და მისი ორდინარეცი, ჯარისკაცი ვიტალი პინჩუკი დარჩნენ. ორდინარეცი პირველ სართულზე საუზმეს აპზადებდა, როცა კაპიტანი ხის დახვეული კიბით ჩამოვიდა. ქვედა ვესტიბიულში კიდევ იგრძნობოდა ღამენათევ ჯარისკაცთაგან დამძიმებული ჰაერი, ხარბად ნაბოლები მახორკის სუნი.

— დილა მშვიდობისა, ამხანაგო კაპიტანო! — ღიმილით შეეგება პინჩუკი. მასაც მხიარული გუნება აჰყოლოდა.

— რა კარგია ამ სიტყვების მოსმენა, ვიტალი კუზმიჩ! დილა მშვიდობისა!

კაპიტანი ყოველთვის სახელითა და მამის სახელით მმართავდა თავის ორდინარეცს, ჯერაც ახალგაზრდა, მაგრამ მასზე ათითორმეტი წლით უფროს კაცს.

პინჩუკს ულამაზო, ჭორფლიანი სახე ჰქონდა, მაგრამ მეტად კეთილი და მამაცი კაცი იყო. სიკეთეზე, ერთგულებასა და სიმამაცეში ათასგზის გამოცდილი ჰყავდა გონაშვილს.

სანამ პირის დასაბანად აბაზანაში შეეფიდოდა, კაპიტანმა ბატალიონში დარეკა. მორიგემ სრული სმშვიდე და წესრიგიანობა მოახსენა, რის შემდეგაც კაპიტანი ისევ პინჩუკს მიუბრუნდა.

— მალე შინ წავალთ, ვიტალი კუზმიჩ...

— საქმე მოვათავეთ, აქ რაღა დაგვრჩენია, — გაიღიმა პინჩუკმა.

— ჩემთან ხომ ჩამოხვალ, სოფელში? — სინანულით გაჰქონია თავი გონაშვილმა, თითქოს იმ დღეს მორდებოდნენ ერთმანეთს.

— მაგას თქმა არ უნდა, ვლადიმერ ნიკოლაევიჩ... ჩამოვალ, როგორ არ ჩამოვალ! ჩვენ ხომ ორიეე საქორწინო ბიჭები ვართ.. მაპატიეთ, რომ ასე... მაგრამ ფაქტია. მე — თქვენს ქორწილში და შენ — ჩემს ქორწილში... აბა, ისე როგორ იქნება!

ლადომ ღიღინი წამოიწყო. ძველი, მივიწყებული სიმღერა გაიხსენა.

პინჩუკმა თავის საქმეს მიხედა.

წელზემოთ შიშველი ლადო აბაზანაში ნეტარებით ივლებდა ცივ წყალს, ხმას აუწია და სიმღერის ემხში შევიდა, პატარა ბიჭის აზარტმა შეიპყრო... უცებ სროლის ყრუ ხმა შემოესმა და წელში შესწორდა. სროლა ისევ განმეორდა. ამ დროს აბაზანის კარმაც გაიჯახუნა. ერთი კი მოპკრა თვალი პინჩუკის შეშფოთებულ სახეს, თავზარდამცემად შემოესმა მისი დაძახილი, გერმანელებიო, მოსული ბატალიონის მებრძოლები გაშმაგებით მოცავენდნენ ფერმერის კარ-მიდამოსთან, ბანდიტთა კიდევ ერთი მოზრდილი ჯგუფი გამოჩნდა, რომელსაც ორი ჯავშანტრანსპორტიორი ახლდა...

გაჩაღდა ორმხრივი ცეცხლი. მოწინააღმდეგეები გააფთრებით იბრძოდნენ.

ფერმერის სახლთან ულმობელი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. ლადო ღია ფანჯრიდან ეზოში ავტომატმომარჯვებული გადაეშვა და თავდაყიწყებით ჩაება ჯოჯოხეთურ ოროტტრიალში.

...ჯერ კიდევ სული არ მოეთქვათ გამარჯვებულ მეომრებს, როცა დივიზიისა და პოლკის თაკაცები გამოჩნდნენ. ბრძოლის ველი დაზოგილთა გვამებით იყო მოფენილი, ირგვლივ სისხლის ტბორები იდგა. ბატალიონის სანიტარული ნაწილის მეომრები დაჭრილებს სანარგულებზე აწვენდნენ...

დივიზიის მეთაური სწრაფად გადმოხტა მანქანიდან და დაჭრილებთ სავსე სანარგულს რომ შეხედა, სხვა ვერაფერი რომ ვერ მოისაზრა, ყვრიმალებაცახცახებულმა შოფერს უყვირა:

— დროზე, დროზე დაიძარ, შე!...

და არეული, მაგრამ სწრაფი ნაბიჯებით გასწია იმ ადგილისაკენ, სადაც უკვე ჩამცხრალიყო ძირითადი შეტაკების კერა...

გზადაგზა ბატალიონის მეთაური და მისი მოადგილე მოიკითხა.

მოახსენეს:

— კაპიტანი ჩუმაკოვი მოკლეს... ბატალიონის მეთაური კი... არ ვიცით. ზოგ დაჭრილსა და დახოცილს ვეღარც კი ვცნობთ, ამხანაგო გენერალო!..

* * *

ბერლინის ერთ-ერთ ჰოსპიტალში, რომელიც სართულებდამწვარი სახლის ნახევარსარდაფში იყო განლაგებული, რთული ოპერაცია გაუკეთეს ჯარისკაცს. იგი წელზემოთ შიშველი, მთლიანად გასისხლიანებული, დაბინტული და ზეწრაში მეცავლებულივით გაბვეული მოიყვანეს. მისი სიცოცხლე ძაფზე ეკიდა, ოპერაცია უთმედო იყო და ჯარისკაცს გადარჩენა დასტაქრებმა განგებასღა მიანდეს, თუმცა თავის ცდას ბოლომდე არ აყლებდნენ...

ჭაბუკის ორგანიზმმა იძალა და გადარჩა.

კარგა ხანი დასჭირდა მისი სულის მოთქმის და გონების გამოდარებას, თვალში სინათლის სხივის ჩადგმასა და ენის ლულლუღით ამოდგმას...



ᲘᲣᲛᲝᲠᲘ

● — **ᲘᲪᲘ,** ფრიცი აკარიამი მოხვდა! სახე ძალიან დაუსახიჩრდა, მაგრამ დასტაქარი ირწმუნება, პლასტიკური ოპერაციის შემდეგ ძველ გარეგნობას კვლავ აღვუდგენთო.

— სახრალელ... ნუთუ ოპერაცია აუცილებელია?!

● — **ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ** ვარ, მამა, რომ გუსტავი მოგვწონება.

— ფული თუ აქვს?—

— რა საოცრად ეგავხართ ერთმანეთს, მანაც სწორედ ასეთი შეკითხვა მოიცა შენზე.

● — **ᲛᲐᲛᲘᲙᲝ,** სად არის ალპები? — ჰკითხა ფრანგმა მამას.

— ფედას ჰკითხე, ნივთებს ის უცვლის ხოლმე ყოველთვის ადგილს, — მიუგო მამამ.

● — **ᲮᲣᲗᲘᲯᲐᲠ** დაკუძახე ჩემს ბიჭს და მანიც არ მოდის, — ამოოხრა დედამ, — რა უნდა გამოვიდეს მისგან?

— ოფიციანტი, — მიუგო ღიმილით თანამოსაუბრემ.

● — **ᲗᲐᲯᲘ** არ ვმალავ ხოლმე ჩემთვის შემონახულ ჯიბის ფულს, მაგრამ ცოლი ყოველთვის აგნებს, — შესჩივლა ერთმა კაცმა მეგობარს.

— ჩემს მაგალითს მიბაძე, ძმობილო, ფულს ყოველთვის დასაკემს წინდებში ვინახავ.

● — **ᲜᲣ** მიგვათხოვებთ ჩვენს ქალიშვილს რმ კაცს, იქნებ უფრო ჭკვიანი ვინმე შეეურჩიოთ, — უთხრა ქმარმა მეუღლეს.

— მეც აგრე რომ მემსჯელა, მინაბერა დავრჩებოდი, — მიუგო ქალმა ღიმილით.

● — **ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ** ბაუერ, გავიგე, რომ თქვენს ქალიშვილს მომღერლობა მოუსურვებია და ემზადება. როგორია შედეგი?

— ჩემი ქალიშვილის წყალობით უკვე გრამის ფასად შეეიძინე ორი მეზობლის ბინა.

● **ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ** ცალფეხა მათხოვარი გაიკითხა და თან უთხრა:

— მგონი, გუშინ მარჯვენა ფეხზე იდექით, დღეს კი მარცხენაზე დგახართ.

— მართალი ბრძანდებით, ქალბატონო, მაგრამ დამეთანხმებით, ორ დღეს ზედიზედ ერთხა და იმავე ფეხზე დგომა მეტისმეტად დამქანცველია.

ᲗᲐᲠᲯᲣᲛᲐ ᲒᲘᲠᲩᲘᲐᲜᲘᲡᲒᲐᲜ.

შეიცანი, შვილო, ინდუსტრიული პეიზაჟის მშვენიერება!..

ᲛᲝᲜᲘᲙᲐᲛ მოუთმენლად აკრიფა ქმრის ტელეფონის ნომერი.

— გისმენთ, — გაისმა მკვეთრი ხმა.

— ოსვალდ, — თქვა ქალმა ოდნავ აკანკალებული ხმით.

— ა—ა, ეს შენა ხარ, — გამოეპასუხა მეუღლე, — აბა რა არის ახალი?

ქალს გული ძალუმად აუძგერდა და ხმის ამოღება გაუძნელდა.

— ოსვალდ! — გაიმეორა ჩურჩული და შეეცადა თავს დაუფლებოდა. — ოსვალდ! ბოლოს და ბოლოს, მოსახდენი მოხდა. მე, მე... ჩვენ გვეყოლება...

— ოსვალდ, — ოსვალდ, — ოსვალდ! — ... — ... — ...